პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 80-ე წელი

სამშაბათი, 26 ივლისი, 1949 წ. № 147 (8450). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გავაძლიეროთ დახმარება ახალგაზრდა კომუნისტებისადმი — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად (მე-2 გვერდი).
პროპაგანდისტის დასახმარებლად (მე-2 გვერდი).
აღმოვფხვრათ უყაირათობა მოსავლის აღებაში (მე-3 გვერდი).
პროფესორი ნ. ანთელავა — მაღალ საფეხურზე დასაშენებლად ძვირფასი დახმარების საქმე რაიონებში (მე-3 გვერდი).
წიგნის კვირეული (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

გავაძლიეროთ დახმარება ახალგაზრდა კომუნისტებისადმი

ბოლშევიკური პარტიის რიგები გაუწყვეტლივ იზრდება მოწინავე საბჭოთა ადამიანებით. განსაკუთრებით ეს ითქმის უკანასკნელ წლებზე. საქართველოს კ. პ. (ბ) წევრთა 70 პროცენტზე მეტს შეადგენენ ახალგაზრდა კომუნისტები, რომლებიც პარტიაში შეივიდნენ ომისა და ომისშემდგომ პერიოდში. ამიტომ გასაგებია, თუ რა სერიოზული ამოცანები დგას ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების წინაშე ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის გაძლიერების საქმეში.

საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებაში ნათქვამია, რომ პარტიის წევრი ვალდებულია დაუღალავად მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესასწავლად, აქტიურად მონაწილეობდეს პარტიისა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, პრაქტიკულად ახორციელებდეს პარტიის პოლიტიკას და პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებებს.

პარტიის წევრის საწესდებო მოთხოვნათა ეს პირველი მცნება პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს განსაკუთრებული მზრუნველობით მიეპყრონ ახალგაზრდა კომუნისტებს, ჩაებან ისინი შინაპარტიული მუშაობის მრავალფეროვანი საკითხების გადაჭრაში და დაუღალავად იბრძოლონ მათი მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის.

ახალგაზრდა კომუნისტების გამოწრთობის საქმეში დიდ როლს ასრულებს პარტიული განათლების სისტემის ისეთი ფორმა, როგორიც პოლიტსკოლები და წრეებია.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა შეძლონ სკოლებისა და წრეების მუშაობის ნაყოფიერად წარმართვა, მიაღწიონ სწავლების მაღალიდეურობას; ახალგაზრდა კომუნისტებისათვის სპეციალურად უნდა მოაწყონ კვალიფიციური ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები, გამოცდილების გაზიარება, ექსკურსიები ისტორიული ადგილების გასაცნობად, ყოველმხრივ გაუღვიძონ მათ ზეგნზე დამოუკიდებლად მუშაობისა და რევოლუციური თეორიის შესწავლის სიყვარული.

ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალგაზრდა კომუნისტების ბოლშევიკურად გამოწრთობის საქმე შეუძლებელია განისაზღვროს მხოლოდ იმით, რომ ისინი იმაღლებდნენ თეორიულ მომზადების დონეს, ჩაბმული იყვნენ პარტიულ სწავლებაში.

პარტიული ორგანიზაციები თავის მიზანს ახალგაზრდა კომუნისტების სრულყოფილად, ბოლშევიკურად აღზრდის საქმეში მაშინ მიაღწევენ, თუ ყველა კომუნისტი, პირველ რიგში კი პარტიის ახალგაზრდა წევრები, ჩაბმული იქნებიან აქტიურ პარტიულ-პოლიტიკურ საქმიანობაში, თუ ისინი მონაწილეობას მიიღებენ პარტიული კრებების მომზადებაში, გამოვლენ მოხსენებებით, სანიმუშოდ შეასრულებენ პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებებს და მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის ბრძოლას შეუთავსებენ სამეურნეო საქმიანობას, იქნებიან შემოქმედებითი შრომის ავანგარდში.

ამხანაგი სტალინი, უდიდეს მნიშვნელობას აძლევს რა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეს, ამავე დროს მიგვითითებს, რომ „წიგნით ხელმძღვანელს ვერ შექმნი, წიგნს შეუძლია დაეხმაროს წინსვლაში, მაგრამ თვით ხელმძღვანელს იგი ვერ შექმნის. მუშაკები — ხელმძღვანელები იზრდებიან მხოლოდ თვით მუშაობის პროცესში“. ამიტომ ცხადია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა კომუნისტთა პრაქტიკულ საქმიანობაზე გამოწვრთნას.

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა, დაწესებულებათა და საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს ახალგაზრდა კომუნისტების ბოლშევიკურად აღზრდის საქმეში. თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ კარგად მოაწყო მუშაობა ახალგაზრდა კომუნისტებთან, ჩაება ისინი აქტიურ პარტიულ-პოლიტიკურ საქმიანობაში. ყველა მათგანს მიცემული აქვს შესაფერი პარტიული დავალება, პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ამოწმებს და ეხმარება მათ დავალებათა შესრულებაში. ქარხნის პარტიული კომიტეტი (მდივანი გ. ჩარაევი) და საამქროთა პარტიული ორგანიზაციის ბიუროები თავიანთ სხდომებზე სისტემატურად მსჯელობენ ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საკითხებზე.

პარტიული ორგანიზაციის შეუნელებელი მზრუნველობის შედეგად ყოველდღიურად იზრდება ამ ფაბრიკის ახალგაზრდა ბოლშევიკების იდეური მომზადების დონე და შრომითი მიღწევები. აქ ახალგაზრდა კომუნისტი ვერა თაყაძე ისე დაწინაურდა, რომ მას პროპაგანდისტის საპატიო მოვალეობა დააკისრეს, ხოლო მექანიკური საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივნად ახალგაზრდა კომუნისტი დავით ფსიტიძე აირჩიეს. ისინი სანიმუშოდ ასრულებენ მინდობილ საქმეს. ფაბრიკის კომუნისტები საწარმოო დავალებათა შესრულებაში მაგალითის მაჩვენებელნი არიან.

ახალგაზრდა კომუნისტებთან კარგად მუშაობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, თბილისის სართავსატრიკოტაჟო კომბინატის, ჭიათურის რაიონის სოფელ სვერის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის, გურჯაანის რაიონის სოფელ ზემო გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების საკოლმეურნეო და რესპუბლიკის სხვა მრავალ საწარმოს და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია.

არის ნაკლოვანებანიც ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის დარგში.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქალაქ თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის კრებას უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ერთხელაც არ განუხილავს საკითხი ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის შესახებ. ახალგაზრდა კომუნისტების დიდ უმრავლესობას პარტიული დავალება არა აქვს, არ არიან ჩაბმული პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში, პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად ეხმარება მათ იდეური დონის ამაღლების საქმეში. ამიტომაა, რომ ამ ორგანიზაციის ახალგაზრდა კომუნისტები სუსტად ერკვევიან პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებში, დაბალია მათი ავანგარდული როლი წარმოებაში.

ახალგაზრდა კომუნისტებთან არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ანალოგიური მაგალითები, სამწუხაროდ, სხვა პარტიულ ორგანიზაციებშიც არის.

პარტიის საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციების ამოცანა ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საქმეში განსაკუთრებით დიდია ახლა, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის. არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ, რომ რაც უფრო ნაყოფიერი იქნება პარტიული ორგანიზაციების მუშაობა კომუნისტების პოლიტიკური აღზრდისა და გამოწრთობის საქმეში, მით უფრო ძლიერი და შინაარსიანი იქნება ჩვენი წინსვლა კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თავისი მუშაობის ამ მეტად სერიოზულ უბანს.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-9 ტომი სომხურ ენაზე

ერევანი, 23 ივლისი. (საკადესი). სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-9 ტომი. სომხურ ენაზე თარგმანი შეასრულა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის სომხეთის ფილიალმა.

ხორბლის, ბრინჯის, სიმინდის, სოიისა და მზესუმზირას ახალი ჯიშები

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჩვენი ქვეყნის 28 სელექციონერს დიდი ფულადი ჯილდოები მისცა მარცვლეულის, პარკოსანი მარცვლეულის, ზეთოვანი კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანისა და ჯიშთა გაუმჯობესებისათვის. ახალი ჯიშები განირჩევა უხვი მოსავლიანობით და დანერგილია ჩვენი ქვეყნის მრავალი რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფართო წარმოებაში.

55 ათასი მანეთი პრემია ეძლევა სტალინური პრემიის ლაურეატ ვ. ნ. გრომაჩევსკის, რომელმაც აზერბაიჯანის სახელმწიფო-სასელექციო სადგურში საშემოდგომო ხორბლის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშები გამოიყვანა.

დაჯილდოებულთა შორის არიან უკრაინის, ჩრდილოეთ კავკასიის, შორეული აღმოსავლეთის სელექციონერები, რომლებმაც სოციალისტური მინდვრებისათვის ხორბლის, ბრინჯის, სიმინდის, აგრეთვე მზესუმზირას, სოიისა და სხვა კულტურების ახალი ძვირფასი ჯიშები შექმნეს. (საკადესი).

ჩ ვ ე ნ ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ში

★ ★ ★ ★ ★

ბერიას სახელობის მაღაროს წარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ.). იმ მაღაროს კოლექტივი, რომელიც ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლ. პ. ბერიას სახელს ატარებს, მაღალნაყოფიერად მუშაობს. აქ ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მაღაროს კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა სამეურნეო წლის პირველი ნახევრის დავალება და ასევე განგრძობს მუშაობას ივლისში. მაღაროს 19 ივლისისათვის გადამეტებით შეასრულა შვიდი თვის დავალება და ახლა მარგანეცს იძლევა აგვისტოს ანგარიშში.

თავდადებული შრომით გამოირჩევიან სტახანოველები პ. ყიფშიძე, ა. სამხარაძე, ე. თუთბერიძე, გ. შეყლაძე, გ. ბედინაშვილი და სხვები.

ამუშავდა შრომჰესი

სოხუმი. (საკ. კორ.). სოფელ შრომაში ახლახან ამუშავდა 83 ცხენის ძალის სიმძლავრის საკოლმეურნეო ელადგური. ახლა საღამოობით გაჩირაღდნებულია სასოფლო საბჭოს შენობა, კოლმეურნეობის გამგეობის კანტორა, მაღაზია, სამკითხველო და სოფლის ქუჩა ერთი კილომეტრის მანძილზე.

ამუშავდა აგრეთვე რადიოკვანძი. უახლოეს დღეებში კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წევრთა ყველა ოჯახს ექნება ელნათურა და რადიო.

ახალი ბინების მშენებლობა

ტყიბული. (საკ. კორ). დამთავრდა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის მოსწავლეთათვის მესამე ინტერნატის მშენებლობა, ინტერნატი სამსართულიანია. იგი მდიდრულადაა გაფორმებული.

ქალაქის მაგისტრალურ ქუჩაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამსართულიანი შენობის აგება, რომლის ქვედა სართულში მოთავსდება აფთიაქი, ხოლო ზედა ორი სართული განკუთვნილია ოჯახიან მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებლად.

ღვინის ქარხანა

ხარაგოული. (საკ. კორ.). ბორჩალოს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე უპპანკომბინატის ღვინის ქარხანათა მმართველობა აშენებს ღვინის ქარხანას. ქარხნის მშენებლობა წელს დამთავრდება და დაიხარჯება ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი.

ქარხანა 50.000 დეკალიტრის ტევადობისა იქნება.

ერგო-კარაქის ახალი ქარხანა

სამტრედია. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში დამთავრდა ერგო-კარაქის ქარხნის მშენებლობა, რომელიც ამას წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ. ქარხანა ყოველწლიურად 500 ტონა რძეს გადაამუშავებს.

მოწინავე საწარმო

ფოთი. (საკ. კორ.). სამრეწველო კომბინატის საწარმოებს შორის წლის პირველი ნახევარი საუკეთესოდ დაამთავრა საკონდიტრო ფაბრიკამ, რომელმაც გეგმის გადამეტებით გამოუშვა 20 ტონა ხარისხოვანი საკონდიტრო ნაწარმი და ნახევარი წლის გეგმა 141 პროცენტით შეასრულა.

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

ბორჯომის ხეობიდან ჩამოსულნი

ორხევიდან, სადაც სამგორელთა საცხოვრებელი დაბა-ქალაქი შენდება და ამოყვანილ სართულთა კედლები უკვე საამო ჩრდილს იძლევიან, შორს, ზემო მხრისაკენ თეთრი კარვები ჩანან, ადამიანთა სიმრავლეს შეამჩნევს მაბვილი თვალი.

იქ ბორჯომის ხეობიდან ჩამოსული კოლმეურნეები მუშაობენ. არავის არ ჩამოვრჩეთო, გადაწყვიტეს ბორჯომელებმა სამგორში ჩამოსვლისას და დაუღალავად, კოლმეურნეთა დამახასიათებელი სიბეჯითით ანლდებენ ამ გადაწყვეტილებას. დიმიტრი გელაშვილი—საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის მდივანი მშენებელ კოლმეურნეთა ხელმძღვანელებს აქეზებს—აი იქით ზესტაფონელები მუშაობენ, ცოტა აქეთ — ორჯონიკიძელები, მხარი გავუსწოროთ მეზობლებს, ისე ვიმუშაოთ, არ ჩამოვრჩეთ შეჯიბრებაში.

4.000 კუბური მეტრი მიწა უნდა ამოიღონ ბორჯომელებმა არხის კალაპოტიდან და 240 მეტრის სიგრძეზე საბოლოოდ და სანიმუშოდ გაამზადონ მისი პროფილი დასაბეტონებლად. ასეთი იყო თავდაპირველად ბორჯომელთა ვალდებულება, მაგრამ აქ სხვა ამბავი დახვდათ: მათ მეზობლად მომუშავეებს — იმერეთიდან სამგორის მშენებლობაზე ჩამოსულებს ახალი გადიდებული ვალდებულებათა შესრულება უკისრიათ. ზესტაფონელებმა 6.000-ის ნაცვლად 7.000 კუბმეტრი მიწის სამუშაოს შესრულება იკისრეს, ხოლო ორჯონიკიძელებმა 4.500-ის ნაცვლად 5.500 კუბმეტრისა. მშენებლებთან ერთად ჩამოსულებმა ბორჯომის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გიორგი კუპრაძემ, რაიკომის მდივანმა სერგი ძაგურიძემ, სხვა მუშაკებმა—შალვა მაისურაძემ, ინჟინერმა სიმონ ჭანტურიძემ და არჩილ ჭელიძემ, ექიმმა იოსებ ოორამაშვილმა და სხვებმა ბორჯომელი კოლმეურნეები ისე დარაზმეს, ისე მოაწყეს მათი შრომა, რომ ორიოდ დღეში 500 კუბმეტრის გადაჭარბებით მაინც შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას.

სამგორის მშენებლობაზე მომუშავე ინჟინერ-დისპეტჩერმა ახალგაზრდა ენთუზიასტ ქართველ სპეციალისტთა ახალი თაობის წარმომადგენელმა თამარ მაჭავარიანმა ბორჯომელთა ნამუშევრის დათვალიერების შემდეგ ბლოკნოტში ჩაიწერა:

— 20 ივლისს შესრულებულია 1.800 კუბმეტრი მიწის სამუშაო, 21 ივლისს—1.500 კუბმეტრი. სულ, 3.300 კუბმეტრი! ყოჩაღ, ბორჯომელებო!

რატომაა მეორე დღეს ნაკლები მოცულობის სამუშაო შესრულებული, შეეკითხნენ ინჟინერ ქალს, მან ასეთი განმარტება მოგვცა.

ბორჯომის რაიონის 41 კოლმეურნეობიდან სამგორზე სამუშაოდ წამოვიდა 625 კაცი. პირველ დღესვე მთელი რიგი კოლმეურნეობებიდან ჩამოსულმა ჯგუფებმა ნაკისრი სამუშაოები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს და უკანვე გაბრუნდნენ საკოლმეურნეო მინდვრებზე გასასვლელად. ამიტომ მეორე დღეს ნაკლები ხალი მუშაობდა არხზე, მესამე დღეს კიდევ უფრო ნაკლები, ხოლო მეოთხე დღეს, აგერ ნახავთ, ყველანი დამთავრებენ მუშაობას და გამარჯვების სიმღერით უკან გაუდგებიან გზას.

ცალკე საკოლმეურნეო ჯგუფებს შორის არხის გასაყვან სამუშაოზე თავი ისახელეს სოფელ ტბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობიდან ჩამოსულებმა, რომელთაც ალექსი ლომიძე ხელმძღვანელობდა. კარგად იმუშავეს აგრეთვე სოფელ პატარა მიტარბის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობიდან (თავმჯდომარე არქიპო თედიაშვილი), სოფელ საკირეს ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობიდან (თავმჯდომარე ზურაბ სამსონიძე) და მრავალი სხვა კოლმეურნეობიდან ჩამოსულებმა.

ტაძრისელები, კორტანეთლები, წაღვერლები, ბაკურიანელები, ქვაბიხევლები და ჭიბარულელები ერთმანეთს ეჯიბრებიან სამუშაოთა უკეთესად, გადაჭარბებით და უმოკლეს ხანში შესრულებისათვის.

გადაკასკასებული ცა გულღიად დაჰყურებს სამგორის სივრცეს. ვერავინ ამჩნევს მაღლა მტრედისფერ უსასრულობაში ღრუბლის ნაშანწყალს, მიდამოს გვალვის იერი გადაჰკვრია. შორს არიან ბორჯომის ხეობის ქოჩორა მთები, ვერ აღწევს სამგორამდე მათი სიგრილის ეშხი. სამაგიეროდ უკვე იგემა სამგორის მიწამ ბორჯომის ხეობიდან აქ ჩამოსულთა შრომის ეშხი და ძალა.

დ. ლომთათაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეებისა და მასწავლებელთათვის ორდენებისა და მედლების გადაცემა

ლაგოდეხი, (საქდესი). ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბ. გოგუამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცა ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, რომელნიც დაჯილდოებული არიან 1948 წელს თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებისათვის.

უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ მიიღო ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ ბრიგადირმა ი. ა. აფაქიძემ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 34,2 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ გადაეცათ აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანს შ. დ. ნუცუბიძეს და მშრომელთა დეპუტატების ლაგოდეხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს პ. ტ. ბუცხრიკიძეს, რომლებმაც თავიანთი მუშაობით უზრუნველყვეს მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 15,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება, კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ბრიგადირს გ. გ. ჯიბღაშვილს, რომელმაც 6,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 28,6 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო და სხვებს, სულ რაიონის სოფლის მეურნეობის 20 მოწინავეს.

ლენინის ორდენი მიიღო სოფლის მეურნეობის 35 მოწინავემ, შრომის წითელი დროშის ორდენი—64 კაცმა, მედალი „შრომითი მამაცობისათვის“—85 და მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“—24 კაცმა.

ამავე დროს სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადაეცათ აგრეთვე ლაგოდეხის რაიონის მასწავლებლებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ მშრომელთა დეპუტატების ლაგოდეხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. პ. ბუცხრიკიძე, კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. ვეიბოვიჩი, კოლმეურნეობა „შრომის“ ბრიგადირი ი. ნატრომეილი და სხვები, რომლებმაც მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის მხურვალე მადლობა გამოთქვეს პარტიისა, საბჭოთა მთავრობის და დიდი სტალინისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბ. გოგუამ დაჯილდოებულთ მიულოცა მთავრობის მაღალი ჯილდოების მიღება და შემდგომი წარმატება უსურვა მუშაობაში.

ახალი მშენებლობანი კოლმეურნეობებში

გურჯაანი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში დღითიდღე ფართოვდება ახალი მშენებლობანი. ურიათუბნის კოლმეურნეობა „წითელმა უბანმა“ მოაწყო და საექსპლოატაციოდ გადასცა სახერხი ქარხანა და ელექტროწისქვილი. სახერხი ქარხანა ყოველდღიურად 30 კუბურ მეტრ ხე-ტყეს ამუშავებს. იგი მომსახურებას უწევს, როგორც ურიათუბნის, ისე მეზობელი სოფლების კოლმეურნეობებს.

300 ტონის ტევადობის ახალი საწყობი აამენა გურჯაანის კომინტერნის ძეწვიდე კონგრესის სახელობის კოლმეურნეობამ, რაზეც 56.000 მანეთი დაიხარჯა.

ორსართულიან სახლს აშენებს სოფელ შამიანის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის პირველი სართული დაეთმობა საწყობს, ხოლო მეორე სართულზე მოეწყობა კოლმეურნეობის გაგეგმილის კანტორა და სამუშაო ოთახები. შენობა საექსპლოატაციოდ გადაეცემა მომდინარე წლის ბოლოს.

აგურის საწარმო

ხაშური. (საკ. კორ.). ცხრამუხის კოლმეურნეობაში დამთავრდა აგურის საწარმოს მშენებლობა, რომელმაც უკვე გამოუშვა პირველი პროდუქცია — 20 ათასი ცალი გამომწვარი აგური.

აგურის საწარმო წლის ბოლომდე გამოუშვებს 200 ათას ცალ გამომწვარ აგურს და კოლმეურნეობას მისცემს 80 ათას მანეთ შემოსავალს.

დახმარება ფრონტზე დაღუპულთა ოჯახებს და სამამულო ომის ინვალიდებს

სტალინირი. (საკ. კორ.). ფრონტზე დაღუპულთა ოჯახებმა რაიონში წელს სახელმწიფოსაგან დახმარების სახით მიიღეს 542.000 მანეთი, აგრეთვე დიდძალი მარცვლეული, ხოლო ინდივიდუალური სახლების ასაშენებლად სამეურნეო ბანკიდან კრედიტის სახით მიეცათ 30.000 მანეთი.

ჭყის ვეღური ჯიშების მყნობა

ბორჯომი. (საკ. კორ.). ბორჯომის სატყეო მეურნეობამ (დირექტორი ტ. წერეთელი) მოაწყო პანტაზე 16.059 კალმისა და მაჟალოზე 3.775 კალმის მყნობა.

ტყის ხილის მყნობაზე განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ნეძვის, ახალდაბის, ჩარხისწყლის, ჭობისხევისა და ტაძრისის სატყეო უბნების მუშაკებმა.

სახელმწიფო დახმარება ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს

ჟუთაისი. (საკ. კორ.). საქართველოს კომუნალური ბანკის ქუთაისის განყოფილებამ ინდივიდუალური მშენებლობისათვის გასცა 1 მილიონი 500 ათასი მანეთი გრძელვადიანი სესხი.

წლის ბოლომდე კიდევ გაიცემა 1 მილიონი მანეთი.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-9 ტომი სომხურ ენაზე

ხორბლის, ბრინჯის, სიმინდის, სოიისა და მზესუმზირას ახალი ჯიშები

სოციალისტური შრომის გმირები



კ. ბ. ბოგვია

ქობულეთის რაიონის ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 100,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 4.368 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ი. ვ. მაღლაკელიძე

მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების გამგე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 7.052 მხხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, 894 მანდარინის მოყვანისათვის.

ა. მ. გაბუნია

გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 10.000 მხხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, 810 მანდარინის მოყვანისათვის.

დ. დ. კუშნარენკო

გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის ბუშა. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 440 მხხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, 1.210 მანდარინის მოყვანისათვის.

მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად

23 ივლისს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი ზეიმით შეხვდა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს. უდიდეს საწარმოთა საამქროებში, გარნიზონის ნაწილებში, დაწესებულებებში შედგა ხალხმრავალი კრებები, რომლებზეც მოსკოველები მიესალმებოდნენ სახელოვან სამხედრო-საზღვაო ფლოტს, ჩვენი ქვეყნის მამაც სამხედრო მეზღვაურებს.

საღამოს გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მწვანე თეატრში სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად შედგა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა დედაქალაქის პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა, საბჭოთა არმიის მეომართა მონაწილეობით. თეატრში მოვიდა დედაქალაქის 20 ათასზე მეტი მშრომელი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომარი. თეატრის სცენა მორთულია დროშებითა და ცოცხალი ყვავილებით. ცენტრშია დიდი სტალინის ვეებერთელა პორტრეტი. წითელ აბრეშუმზე ბრწყინავენ სიტყვები: „გაუმარჯოს ბოლშევიკების დიდ პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას!“.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან: სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილეები — საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, ადმირალი ი. ს. იუმაშევი, არტილერიის მარშალი ნ. დ. იაკოვლევი; ფლოტის ადმირალი ი. ს. ისაკოვი, არტილერიის მთავარი მარშალი ნ. ნ. ვორონოვი, ადმირალები ა. გ. გოლოვკო, ნ. მ. ხარლამოვი, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნები ნ. პ. ფირიუბინი, ი. მ. კოლოტირკინი, ნ. ნ. დანილოვი, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი ო. ვ. კოზლოვა, გემთმშენებლობის მინისტრი ა. ა. გორეგლიადი, საზღვაო ფლოტის მინისტრი ნ. ვ. ნოვიკოვი, სამდინარო ფლოტის მინისტრი ზ. ა. შაშკოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ფ. კუზნეცოვი, ვიცე-ადმირალი ნ. მ. კულაკოვი, ინჟინერ ვიცე-ადმირალი ნ. ვ. ისაჩენკოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილენი ნ. პ. პლოტნიკოვი, ი. პ. პროცეროვი, ი. კ. ფროლოვი, ვ. ფ. პომისლოვი, გ. ა. გოლოდოვი და სხვები.

საზეიმო სხდომა გახსნა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ნ. კოლოტირკინმა. საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგი ი. ბ. სტალინის მეთაურობით. ერთიანი აღფრთოვანებით ათასობით ადამიანი ფეხზე დგება და მქუხარე ოვაციას უმართავს საბჭოთა ხალხის დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

მოხსენება სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის შესახებ გააკეთა სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდლის მოადგილემ და მთავარი საზღვაო შტაბის უფროსმა ადმირალმა ა. გ. გოლოვკომ.

— აღნიშნავენ რა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს, — ამბობს ამხ. გოლოვკო, — საბჭოთა სამხედრო მეზღვაურები სიყვარულისა და მადლობის პირველი სიტყვით მიმართავენ ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა ხალხის დიდ გამარჯვებათა შემოქმედსა და სულისჩამდგმელს ამხანაგ ი. ბ. სტალინს. **(მქუხარე ტაში).**

საზღვაო საზღვრების მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოსათვის განსაკუთრებით დიდია. მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არა აქვს ისეთი სიგრძის საზღვაო საზღვრები, როგორც ჩვენს სამშობლოს. ჩვენი სამშობლოს საარსებო სახელმწიფო ინტერესები განუყრელად არის დაკავშირებული საზღვაო გზებთან. ამიტომ რუსი ხალხი, მეზღვაური ხალხი, განუწყვეტლივ იბრძოდა ზღვაში გასასვლელისათვის, საზღვაო და საოკეანო გზებისათვის. მან თავისი წიაღიდან მოგვცა მრავალი ნიჭიერი მეზღვაური, დიდი მეცნიერი, რომელთაც უდიდესი წვლილი შეიტანეს სამხედრო-საზღვაო მეცნიერებისა და ცოდნის სხვა დარგების განვითარებაში.

საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი მეზღვაურების გეოგრაფიული აღმოჩენები და გამოკვლევები, რომლებმაც სახელი მოუხვეჭეს ჩვენს სამშობლოს. ჩვენი რუსი მეზღვაურები თავდადებით ემსახურებოდნენ მეცნიერებას. სწორედ რუსმა მეზღვაურებმა აღმოაჩინეს ანტარქტიდა (ანტარქტიკა), ათობით სრუტე და კუნძული წყნარ, ჩრდილოეთის ყინულოვან და სხვა ოკეანეებში; სწორედ რუსმა მეზღვაურებმა შეიტანეს გადამწყვეტი წვლილი ჩრდილოეთის შესწავლაში. ჩვენმა ხალხმა ათეული წლებით გაასწრო უცხოელ გემთმშენებლებს. ჩვენ ზვეკუთვნის პრიორიტეტი ჯავშნიანი კრეისერების, პირველი წყალქვეშა ნავების, ნაღმებით შეიარაღების შექმნაში და სხვა.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ჩვენი მეზღვაურების რევოლუციურ ტრადიციებს, რომლებმაც უჭკნობი დიდება მოიხვეჭეს დიდი ოქტომბრის დღეებში, სამოქალაქო ომის წლებში.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ლენინი და სტალინი უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ სამხედრო-საზღვაო ძალების მშენებლობას. სტალინური ხუთწლედების წლებში საბჭოთა ხალხმა ფართო მასშტაბითა და სწრაფი ტემპით გააჩაღა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობა. — დიდი ფლოტის მშენებლობის სულისჩამდგმელი, — ამბობს ამხ. გოლოვკო,—ყველა ჩვენი წარმატებისა და გამარჯვების სულისჩამდგმელი იყო და არის დიდი სტალინი. **(მქუხარე ტაში).**

ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილმა სამხედრო მეზღვაურებმა გვიჩვენეს სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება, მასობრივი გმირობა, სიმამაცე და მაღალი მხედრული ოსტატობა დიდ სამამულო ომში. ომის გამოცდილება მოწმობს, რომ ჩვენმა ფლოტმა, მთლიანად ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყვეს ჩვენი დიდი ხალხის ღირსეული თვისებები.

ყველა ჩვენი მტრის ვარაუდების მიუხედავად, — აღნიშნავს მომხსენებელი, — საბჭოთა კავშირი ომიდან გამოვიდა უფრო განმტკიცებული და მძლავრი. გაიზარდა საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძლიერებაც. საბჭოთა ქვეყანამ გააფართოვა თავისი საზღვაო საზღვრები, დაიბრუნა ოდითვე რუსული მიწები და ბაზები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი ფლოტის ბაზირების სისტემა.

ამხანაგი ი. ბ. სტალინი წერდა: „საბჭოთა ხალხს სურს იხილოს თავისი ფლოტი უფრო ძლიერი და მძლავრი. ჩვენი ხალხი შექმნის ფლოტისათვის ახალ სამხედრო ხომალდებსა და ახალ ბაზებს“. და ხალხი, წარმატებით ახორციელებს რა ომისშემდგომ ხუთწლედს, განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებს ახალი საბრძოლო ხომალდებით, ახალი ტექნიკით.

შემდეგ ამხ. გოლოვკო აღნიშნავს ლენინური კომკავშირის, და კერძოდ, ჩრდილოეთის ფლოტის შეფის, მოსკოვის კომკავშირული ორგანიზაციის მნიშვნელოვან როლს სამხედრო-საზღვაო ძალების განმტკიცებაში. სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაობას, რომელიც მშრომელთა შორის სამხედრო-საზღვაო ცოდნის პროპაგანდის ცენტრი ხდება.

— სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ერთიან მწყობრში, — ამბობს ადმირალი გოლოვკო, — ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო დარაზმულნი, ჩვენი ქვეყნის სამხედრო მეზღვაურნი მუდამ მზად არიან შეასრულონ თავიანთი ვალი სამშობლოს, პარტიისა და დიდი სტალინის წინაშე.

თავისი მოხსენების დასასრულს ამხ. გოლოვკომ დეტალურად უსურვა სამხედრო-საზღვაო ფლოტს, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ხალხს დიდ ბელადს, მშობლიურ სტალინს. ამ სიტყვებს დამსწრენი ეგებებიან მქუხარე ტაშითა და ოვაციებით ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

მოსკოვის კომკავშირისა და ახალგაზრდობის სახელით საკავშირო ალკა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ს. კისელიოვმა სამხედრო მეზღვაურებს მიულოცა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული.

ამხ. ი. ა. ნოვიკოვმა მამაც სამხედრო მეზღვაურებს მხურვალე სალამი გადასცა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, მოსკოვის საბჭოს და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მშრომელთა სახელით.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

(საკდესი).

საბჭოთა კავშირი სინთეზური კაუჩუკის სამშობლოა

ს. ვ. ლებედევის დაბადების 75 წლისთავი

25 ივლისს შესრულდა 75 წელი გამოჩენილი რუსი ქიმიკოსის სერგი ვასილის-ძე ლებედევის დაბადებიდან. ს. ვ. ლებედევის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთ უდიდეს მიღწევასთან — სინთეზური კაუჩუკის მრეწველობის შექმნასთან.

ს. ვ. ლებედევი დაიბადა 1874 წლის 25 ივლისს. უმაღლესი განათლება მან მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომელიც ბრწყინვალედ დაამთავრა 1900 წელს. 8 წლის შემდეგ ნიჭიერი რუსი მეცნიერი შეუდგა გამოკვლევებს კაუჩუკის სინთეზის დარგში. 1909 წელს რუსეთის ფიზიკა-ქიმიური საზოგადოების სხდომაზე მან წაიკითხა მოხსენება თავისი ნაშრომების შესახებ და დამსწრეთ უჩვენა სინთეზური კაუჩუკის ნიმუში, რომელიც მიიღო დივინილის ნახშირწყალბადისაგან. ამ ბრწყინვალე აღმოჩენამ შემდეგში განსაზღვრა ნედლეულის ამორჩევა სინთეზური კაუჩუკის თანამედროვე მრეწველობისათვის მთელ მსოფლიოში.

ს. ვ. ლებედევს არ აუღია პატენტი თავის აღმოჩენაზე. დამახასიათებელია, რომ დივინილიდან კაუჩუკის მიღების პირობები, რაც 1910 წელს დააპატენტეს გერმანელმა მეცნიერებმა, მთლიანად იგივე აღმოჩნდა, რაც რუსი ნოვატორის ნაშრომებში იყო მოცემული. დივინილისა და ანალოგიური ნახშირწყალბადების კაუჩუკად გადაქცევის დარგში თავისი ნაშრომების შედეგები ლებედევმა გამოაქვეყნა სპეციალურ წიგნში „გამოკვლევები ორეთილოვან ნახშირწყალბადების პოლიმერიზაციის დარგში“, რომელიც 1913 წელს გამოვიდა პეტერბურგში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნში მოცემულია დივინილის ნახშირწყალბადების კაუჩუკად გადაქცევის ძირითადი კანონზომიერებანი, უცხოეთის პრესაში ამ კანონზომიერებათა დადგენას მიაწერენ ამერიკელ კარზერს, რომელმაც თავისი გამოკვლევები 25 წლით უფრო გვიან გამოაქვეყნა.

ს. ვ. ლებედევის ნაშრომები არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო მეფის რუსეთის პირობებში. მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჰპოვეს მათ მხურვალე მხარდაჭერა და პირველი სტალინური ხუთწლედების წლებში განხორციელდნენ მსოფლიოში პირველი სინთეზური კაუჩუკის მრეწველობის შექმნით. საბჭოთა მთავრობა და ბოლშევიკური პარტია, პირადად ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი დიდ ინტერესს იჩენდნენ და ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ სამუშაოთა გაჩაღებას, რომ შექმნილიყო საკუთარი ბაზა კაუჩუკის მისაღებად.

1926 წელს გამოცხადდა კონკურსი კაუჩუკის სამრეწველო სინთეზის მიღების საშუალების დამუშავებაზე. ამ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ს. ვ. ლებედევმა, რომელმაც შეიმუშავა დივინილის საფუძველზე კაუჩუკის სამრეწველო სინთეზის მიღების ორიგინალური საშუალება. ეს საშუალება დღემდეც უბადლოა თავისი სიმარტივითა და ეფექტიანობით. საბჭოთა მეცნიერებას ეკუთვნის უდავო პრიორიტეტი თანამედროვე ქიმიის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემის გადაწყვეტაში.

სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა პირველ სრულიად საკავშირო კონფერენციაზე 1931 წელს ამხანაგი სტალინი ამბობდა: „ჩვენს ქვეყანაში ყველაფერია, გარდა კაუჩუკისა. მაგრამ ერთი-ორი წლის შემდეგ კაუჩუკიც გვექნება“. სინთეზური კაუჩუკის მიღების პროცესის სწრაფი ათვისება, მის დასამუშავებლად სამრეწველო საწარმოთა მოკლე ვადებში დაპროექტება და მშენებლობა უზრუნველყოფილი იყო პირველი დღეებიდანვე დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლების ს. მ. კიროვისა და სერგო ორჯონიკიძის განუწყვეტელი ხელმძღვანელობით.

უკვე 1932 წელს ჩვენი ქვეყნის პირველმა მსხვილმა სამრეწველო საწარმოებმა მსოფლიოში პირველად დაიწყეს ს. ვ. ლებედევის მეთოდით სინთეზური კაუჩუკის გამოშვება.

სსრ კავშირში კაუჩუკის სამრეწველო სინთეზის წარმატებით მიღებამდე ისტორიამ იცის ამ პრობლემის გადაწყვეტის მხოლოდ ერთი ცდა, რომელიც გერმანიაში გაკეთდა პირველი იმპერიალისტური ომის დროს და მარცხით დამთავრდა. გამოშვებული კაუჩუკის დაბალი ხარისხისა და მაღალი ღირებულების გამო მისი წარმოება ლიკვიდირებულ იქნა ომის დამთავრებისთანავე.

სსრ კავშირში სინთეზური კაუჩუკის მრეწველობის შექმნას საზღვარგარეთ უნდობლად შეხვდნენ. ცნობილმა ამერიკელმა გამომგონებელმა ედისონმა განაცხადა: „ცნობა, რომ საბჭოთა კავშირში მოახერხეს სინთეზური კაუჩუკის მიღება, დაუჯერებელია. ამის გაკეთება არ შეიძლება. ვიტყვი მეტსაც, მთელი ცნობა სიცრუეა. ჩემი საკუთარი გამოცდილებით და სხვათა გამოცდილებით ცხადია, რომ არ შეიძლება საერთოდ სინთეზური კაუჩუკის მიღება“.

მას შემდეგ, რაც სსრ კავშირში წარმატებით მოეწყო სინთეზური კაუჩუკის მრეწველობა, ამ პროდუქტის წარმოება მოგვარდა გერმანიაში 1936-38 წლებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში 1941-1943 წლებში, ამასთან ამ ქვეყნებში კაუჩუკის წარმოების საშუალებებს საფუძვლად დაედო რუს ქიმიკოსთა ნაშრომები.

საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასა ს. ვ. ლებედევის დამსახურება და 1931 წელს იგი მეცნიერთა შორის ერთ-ერთი პირველი დააჯილდოვა ლენინის ორდენით. 1932 წელს ს. ვ. ლებედევი არჩეულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1934 წლის 2 მაისს სიკვდილმა შეწყვიტა გამოჩენილი რუსი მეცნიერის მჩქეფარე საქმიანობა. მაგრამ მისი იდეები ფართოდ განვითარდნენ მის მოწაფეთა მრავალ ნაშრომში.

პროპაგანდისტის დასახმარებლად

საბჭოთა კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია

დიდმა სტალინმა 1925 წლის მაისში, როცა სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდი დასასრულს უახლოვდებოდა, დასახა სოციალისტური მშენებლობის ნათელი პერსპექტივა, განსაზღვრა ახალ პერიოდზე გადასვლის მომენტი და მოგვცა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, როგორც ისტორიული აუცილებლობის, ღრმა დასაბუთება.

პარტიის XIV ყრილობაზე ი. ბ. სტალინი ამბობდა:

„გადავაქციოთ ჩვენი ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელსაც შეეძლება თავისი საკუთარი ძალებით აწარმოოს საჭირო მოწყობილობა,—აი რაშია ჩვენი გენერალური ხაზის დედაარსი, საფუძველი“. (ციტირებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან. გვ. 359).

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სტალინური გეგმის განხორციელება უზრუნველჰყოფდა სსრ კავშირის ეკონომიურ დამოუკიდებლობას, განამტკიცებდა მის თავდაცვისუნარიანობას და ჰქმნიდა სოციალიზმის მაღალ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გეგმას ხალხის მტერმა სოკოლნიკოვმა დაუპირისპირა ჩვენი ქვეყნის „აგრარიზაციის“ გეგმა — იმპერიალიზმის ონავრების საამებელი გეგმა, რომელიც მოასწავებდა სსრ კავშირის გადაქცევას კაპიტალისტური ქვეყნების აგრარულ დანამატად.

პარტიის XIV ყრილობამ უკუაგდო „ახალი ოპოზიციის“ კაპიტულანტური, „გამცემლური გეგმა და აიღო გეზი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ.

* * *

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროცესი დაიწყო მძიმე მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარებით. პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ გააჩაღეს ბრძოლა პირველ რიგში მრეწველობის წამყვანი დარგის — მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის.

XV პარტკონფერენციამ ხაზგასმით აღნიშნა მრეწველობის ძირითადი ფონდების გაფართოების აუცილებლობა.

კაპიტალური მშენებლობის ფართო პროგრამის განხორციელება, ახლად აშენება ასობით მანქანათმშენებელი, ბაგათმშენებელი, საავტომობილო, მეტალურგიული ქარხნისა, ახალი თავდაცვითი მრეწველობის შექმნა, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების დარგში სერიოზული მილიარდობით კაპიტალდაბანდებას. კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებმა სესხის მოცემაზე უარი თქვეს, ხოლო ჩვენი ქვეყანა მაშინ კიდევ არ იყო მდიდარი. ეს ჰქმნიდა ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთ ძირითად სიძნელეს.

სვერდლოვის უნივერსიტეტის სტუდენტებთან საუბარში ამხანაგმა სტალინმა კითხვაზე, შევძლებთ თუ არა უცხოეთის დაუხმარებლად მსხვილი მრეწველობის მნიშვნელოვან გაფართოებასო — უპასუხა: „დიახ, შესაძლებელია. ეს საქმე დაკავშირებული იქნება დიდ სიძნელეებთან, ამასთან მძიმე განსაცდელის გადატანა მოგვიხდება, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელება გარედან კრედიტების მიუღებლად ჩვენ მაინც შეგვიძლია, მიუხედავად მთელი ამ სიძნელეებისა“. (ი. სტალინი, ტ. 7. გვ. 195).

ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა სოციალისტური დაგროვების წყაროები და მათი არსებითი განსხვავება კაპიტალისტური დაგროვების წყაროებისაგან. სახელმწიფო ფაბრიკებისა და ქარხნების მოგება, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და ბანკების მოგება, მეფის ვალებისა და მიწის საიჯარო გადასახადების გაუქმების შედეგად მიღებული შემოსავალი იყო დაგროვების ყველა ის ახალი წყარო, რომლის გამოყენება შეეძლო საბჭოთა სახელმწიფოს. სოციალისტური დაგროვების ამ წყაროების გამოყენებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ბრძოლას უსასტიკესი მომჭირნეობის რეჟიმის დამყარების, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გაიაფების, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ყოველივე ამის შედეგად შესაძლებელი გახდა მრეწველობაში 1926-1927 წლებში 1 მილიარდის, ხოლო 1929-1930 წლებში 5 მილიარდი მანეთის დაბანდება. 1926-1927 წლებში პირველად შედგენილ იქნა სსრ კავშირის ერთიანი უდეფიციტო სახელმწიფო ბიუჯეტი და შეიქმნა სახელმწიფო სარეზერვო ფონდი 100 მილიონი მანეთის რაოდენობით.

დაიწყო სამრეწველო გიგანტების მშენებლობა.

პარტიამ დასძლია ყველა გარეშე და შინაგანი წინააღმდეგობანი და მიაღწია სერიოზულ წარმატებას მძიმე ინდუსტრიის დარგში.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პრობლემებს შორის, რომლებიც ბოლშევიკების პარტიამ გადასჭრა, განსაკუთრებული ადგილი უკავია ინდუსტრიალიზაციის ტემპის საკითხს. საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობის ღრმა ანალიზის საფუძველზე ამხანაგმა სტალინმა ასე დასაბუთა ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის აუცილებლობა: „ჩვენ 50-100 წლით ჩამოვრჩით მოწინავე ქვეყნებს. ჩვენ ეს მანძილი ათი წლის განმავლობაში უნდა გავირბინოთ. ან შევასრულებთ ამას, ან გაგვსრესენ“. (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოც. გვ. 528-529).

ამხილა რა მემარჯვენე კაპიტულანტების „ქრობადი ძრუდის“ თეორია, რომლის მიხედვით მშენებლობის ტემპი წლიდან წლამდე უნდა შენელებულიყო, ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა, რომ ...„მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის გარდაქმნა **წარმოების სოციალისტური ორგანიზაციის დროს** ისეთ შესაძლებლობებს გვიშლის ტემპების აჩქარების მხრივ, რომლებზედაც ვერ იოცნებებს ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა“. (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, მე-10 გამოც. გვ. 491).

პირველი ხუთწლედი ისტორიაში შევიდა, როგორც სამრეწველო მშენებლობის დიადი პათოსის პერიოდი. ამ პერიოდში სსრ კავშირში ძირითადად უკვე შეიქმნა ახალი ტექნიკური ბაზა.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მძლავრი ტექნიკური ბაზა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის. პირველ ხუთწლედში აშენებულ იქნა სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი. მოისპო უმუშევრობა და სიღატაკე ქალაქად და სოფლად.

მეორე სტალინურ ხუთწლედში კიდევ უფრო მზარდი ტემპით წარმოებდა ძირითადი ფონდების გაფართოება, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, დაზგების ავტომატიზაცია, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შავ მეტალურგიას, აგრეთვე ქიმიურ მრეწველობას.

მრეწველობის ხვედრითი წონა 1937 წელს შეადგენდა 77,4 პროცენტს, ნაცვლად 1932 წლის 70,7 პროცენტისა. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ამავე პერიოდში 11 მილიონიდან 27 მილიონამდე გაიზარდა. დიდი წარმატებანი მოიპოვა პარტიამ მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.

მეორე ხუთწლედში მშენებლობის პათოსი შეივსო ახალი ტექნიკის დაუფლების პათოსით. აღმოცენდა სტახანოვური მოძრაობა — მძლავრი საყოველთაო სახალხო მოძრაობა. სტახანოვური მოძრაობის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ—1936 წელს ინდუსტრიის პროდუქციის ზრდის ტემპმა მიაღწია 30,2 პროცენტს. ეს იყო მეურნეობის ისტორიაში სამრეწველო პროდუქციის უმაგალითო ზრდა.

ეს წარმატებანი ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოიპოვა ხალხის მტრების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის ვითარებაში. ბუხარინელ-ტროცკისტთა მკვლელებისა და საშობლოს მოღალატეთა ნაშთების ლიკვიდაცია იყო ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების უმნიშვნელოვანესი პირობა.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი სწრაფი ტემპები, როგორითაც ვითარდებოდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია.

ცნობილია, რომ ინდუსტრიალიზაციის პროცესი საფრანგეთში გრძელდებოდა 100 წელიწადს, გერმანიაში—50 წელიწადს. ჩვენი ქვეყნის აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გარდაქმნას კი დაახლოებით 13 წელი დასჭირდა. „არ შეიძლება არ ვაღიაროთ,—ამბობს ამხანაგი სტალინი, — რომ ცამეტი წლის ვადა წარმოუდგენლად მოკლე ვადაა ასეთი გრანდიოზული საქმის განხორციელებისათვის“.

სტალინური ხუთწლედების პერიოდში შექმნილი მძლავრი ინდუსტრიის მეოხებით სსრ კავშირი გამოვიდა პირველ ადგილზე ევროპაში — სამრეწველო წარმოების საერთო პროდუქციის მოცულობის მხრივ, მანქანათმშენებლობის, ტრაქტორებისა და სატვირთო ავტომანქანების წარმოების, რკინის მადნის მოპოვების და სუპერფოსფატის წარმოების დარგების მიხედვით; ხოლო მთელ მსოფლიოში — სახალხო მეურნეობაში მანქანათმშენებლობის ხვედრითი წონის მიხედვით (26,5 პროც.), სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და კომბაინმშენებლობის, ორთქლმავალმშენებლობის, ვაგონმშენებლობის და ტორფის ამოღების დარგებში. 1937 წელს სსრ კავშირის მთელი მრეწველობის პროდუქციის 80 პროცენტი მიღებულ იქნა ახლად შექმნილი ან რეკონსტრუირებული საწარმოებიდან.

სსრ კავშირის მრეწველობა გ ნუხრელად ვითარდება გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის კანონის საფუძველზე. სსრ კავშირის სოციალისტურ საწარმოთა ძირითადი ფონდები 1928-1940 წლებში ერთიხუთად გაიზარდა. სოციალისტური წარმოების ხვედრითი წონა სსრ კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1940 წელს შეადგენდა 100 პროცენტს; სოციალისტური წარმოების ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში — 99,7 პროცენტს; სოციალისტურ საწარმოთა ხვედრითი წონა საცალო საქონელბრუნვაში — 100 პროცენტს. მრეწველობის საერთო პროდუქცია (უცვლელ ფასებში) 1928-1940 წლებში 6,5-ჯერ გაიზარდა. ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება ამავე პერიოდში 8,5 მილიარდ მანეთიდან 84,8 მილიარდ მანეთამდე, ანუ 10-ჯერ გაიზარდა.

სტალინური ხუთწლედების პერიოდში სერიოზული ძვრები მოხდა სოციალისტური ინდუსტრიის განლაგებაში. მრეწველობის ახალი დარგები შეიქმნა საბჭოთა კავშირის განაპირა და შორეულ კუთხეებში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეორე საქვანახშირო-მეტალურგიული ბაზის — ურალ-კუზნეცკის კომბინატის შექმნას. ახალმა სამრეწველო რაიონებმა და მოკავშირე რესპუბლიკებმა მძლავრი ნაბიჯები გადადგეს ინდუსტრიული განვითარების გზაზე. 1940 წელს 1913 წელთან შედარებით სსრ კავშირში სამრეწველო პროდუქცია გადიდდა 12-ჯერ, ურალსა, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში—15-ჯერ, საქართველოს სს რესპუბლიკაში — 26,7-ჯერ და ა. შ. ბოლშევიკური პარტიის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელმა გატარებამ უზრუნველყო მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოო ძალთა არნახული აყვავება.

სტალინური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირის ეკონომიური ბაზა სამამულო ომის წინ ბევრად ძლიერი იყო მეფის რუსეთის ომამდელ ეკონომიურ ბაზასთან შედარებით. 1940 წელს სსრ კავშირმა დაამზადა თითქმის 4-ჯერ მეტი თუჯი, ვიდრე 1913 წელს, 4 ½-ჯერ მეტი ფოლადი, 5 ½-ჯერ მეტი ქვანახშირი, 3 ½-ჯერ მეტი ნავთი, 38,3 მილიონი ტონა სასაქონლო მარცვლეული, ანუ 17 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე 1913 წელს.

„წარმოების ასეთი უმაგალითო ზრდა არ შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის უბრალო და ჩვეულებრივ განვითარებად ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. ეს იყო ნახტომი, რომლის მეოხებითაც ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავე ქვეყნად, აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა“, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

ამრიგად, სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია ჩვენი ქვეყნის განვითარების ეკონომიური კანონი გახდა. ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით პარტიამ განახორციელა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, შექმნა ახალი მძლავრი ინდუსტრიული კერები და მოწინავე ინდუსტრიის პირველხარისხოვანი საწარმოები, რამაც უზრუნველჰყო მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, სსრ კავშირის გადაქცევა აგრარულიდან ეკონომიურად დამოუკიდებელ მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად და მისი მომზადება აქტიური თავდაცვისათვის.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის მატერიალურ და სულიერ ძალთა გამოცდას წარმოადგენდა. უწინარეს ყოვლისა ეს იყო საბჭოთა წყობილების, წარმოების სოციალისტური სისტემის გამოცდა, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სტალინური პოლიტიკის შედეგად შექმნილ მატერიალურ შესაძლებლობათა უნარიანი გამოყენება გახდა მატერიალური საფუძველი ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამარჯვებისა დიდ სამამულო ომში.

ჩვენი მუშათა კლასის თავდადებული შრომის, წარმოების ნოვატორების, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მეცნიერ მუშაკთა შემოქმედებითი მუშაობის შედეგად უზრუნველყოფილ იქნა საბჭოთა ქვეყნის სამხედრო-ტექნიკური პროგრესი, გამოიჭედა საბჭოთა ტექნიკა, მრისხანე საბჭოთა იარაღი, რომელმაც აჯობა გერმანულ იარაღს.

ომისშემდგომ პერიოდში ხოციალისტური ინდუსტრიის წინაშე დასახულია ახალი გრანდიოზული ამოცანები. საკმარისია თქვას, რომ 1946-1950 წლებში ხუთწლიანი გეგმით მწყობრში უნდა ჩადგეს 5.900 საწარმო ანუ თითქმის 4-ჯერ მეტი, ვიდრე პირველ ხუთწლედში. ამ გრანდიოზული პროგრამის განსახორციელებლად სახალხო მეურნეობაში დაბანდებული იქნება 250 მილიარდი მანეთი. სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური ზრდა გათვალისწინებულია 15,6 მილიარდი მანეთის რაოდენობით, რაც თითქმის სამჯერ აღემატება, ვიდრე პირველ ხუთწლედში იყო.

„რაც შეეხება უფრო ხანგრძლივი პერიოდის გეგმებს, —

ალმოვფხვრათ უყაირათობა მოსავლის აღებაში

ქარელის რაიონში მასობრივად გაჩაღდა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. მოწინავე კოლმეურნეობები საუკეთესო ხარისხის პირველ განალეწ მარცვლეულს აბარებენ სახელმწიფოს. „ზაგოტზერნოს“ ქარელის მიმღებ პუნქტს ყოველდღიურად აბარებენ პურს სოფელ აბისის, ქვემო ხვედურეთის, ფცის, აფნისის, მეორე კეხოკვრისა და სხვა კოლმეურნეობები. აქ კარგად არის მოწყობილი დანაკარგებთან ბრძოლა.

ქარელის მტს-ი მომზადებული შეხვდა პურის მკას. ყველა კომბაინი შეუფერხებლად მუშაობს. კომბაინერი შ. გოჩაშვილი გეგმით დაწესებული 8 ჰექტარის ნაცვლად ყოველდღიურად 10 ჰექტარზე იღებს მოსავალს. სწრაფად და უდანაკარგოდ იღებს მოსავალს კომბაინერი ს. სულეიმანაშვილი დიდი ახალსოფლის კოლმეურნეობის ყანაში. კომბაინებს შეუფერხებლად ამუშავებენ რუსის მტს-ის კომბაინერები მღებრიშვილი და ნანიტაშვილი.

მკის პირველ დღეებში გამოვლინდა აგრეთვე უყაირათობის ფაქტები. სოფელ ბებნისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა ლ. შიშიაშვილი, ყურადღება არ ექცევა დანაკარგებთან ბრძოლას. მომკილ ნაკვეთში პირუტყვი ისე შეუშვეს, რომ თავთავები არ იყო აკრეფილი. აშიანურებენ კალოების მოწყობას, ყურადღება არ ექცევა ჩანაბარებელი მარცვლეულის გაწმენდას, ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე არ მონაწილეობს მოსავლის აღებაში. ამ კოლმეურნეობიდან 19 ივლისს „ზაგოტზერნოს“ ქარელის მიმღებ პუნქტში ჩასაბარებლად მიიტანეს გაუწმენდავი და დასარევლიანებული ქერი, ხოლო 20 ივლისს დაავადებული ხორბალი. პურის მკისა და ჩაბარების საქმეში კონტროლს ნაკლებად ახორციელებს ბებნისის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი პ. მეტრეველი.

„ზაგოტზერნოს“ ქარელის მიმღებ პუნქტში ჩასაბარებლად 15 ივლისს უხარისხო ქერი მიიტანეს აბისისთავის (თავმჯდომარე ს. ლურსმანაშვილი) კოლმეურნეობიდანაც.

ბრეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე ა. ედილაშვილი) ნაკლებად იბრძვიან დანაკარგების წინააღმდეგ. აქ თავთავების აკრეფაზე კოლმეურნეთა მცირე ნაწილი ჰყავთ გამოყენებული. დიდია დანაკარგი ურბნისის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარედ ბარამაშვილი მუშაობს. კომბაინს არ მიამაგრეს მუშახელი და ურმები, გამოყოფილი არა ჰყავთ მფოცხავები და თავთავის მკრეფავები.

პირველი მოხისის კოლმეურნეობაში „კომუნისაკენ“ ქერი სამკელად შემოსული იყო. აგარის მტს-მა კომბაინი დროულად გაგზავნა. მაგრამ კოლმეურნეობა მზად ვერ შეხვდა ამ საქმეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. მინაძემ პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად სამი დღე კომბაინერს ნება არ დართო მოსავლის აღება დაეწყო, თითქოს პური შემოუსვლელი არისო. ამ ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებისათვის მინაძე დასჯის ღირსია.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს რუისის მტს-ის მ. მაისურაძის კომბაინი გალავნის კოლმეურნეობის ფართობში. აქ კომბაინი ცუდი შეკეთების გამო სამი დღე მოცდა. კომბაინერი ს. იმერლიშვილი 18 ივლისს 8 საათი გაცდა, რადგან მტს-ის სახელოსნომ დროზე არ მიაწოდა სათადარიგო ნაწილი. აღსანიშნავია, რომ ამ კოლმეურნეობაში კომბაინის ბუნკერიდან მიღებულ მარცვლეულს აუწონავად ეზიდებიან საწყობში. მოსავლის აღრიცხვა არ ხდება აგრეთვე ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით.

ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ბაბლიძე) მთელი ფართობის ნახევარზე მეტი მოხავალი ხელით უნდა აიღონ. კოლმეურნეობაში უკვე მომკილია 60 ჰექტარი ყანა. მაგრამ აშიანურებენ კალოების მოწყობას და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას. ასეთივე მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებშიც.

შემჩნეული ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ, არ დავუშვათ დანაკარგი, პურის დამზადების გაჭიანურება.

ვ. გურგენიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მეცხოველეობას—მჯკიცე საკვები ბაზა

ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებმა გაშალეს მუშაობა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. აქ წელს ბუნებრივი ბალახი 10.100 ჰექტარზეა ასაღები, ხოლო ნათესი ბალახი — 180 ჰექტარზე. პირუტყვისათვის საკვები ბაზის დროულად მომზადების მნიშვნელობა კარგად გაითვალისწინა სოფელ ბაკურიანის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. ბუძიშვილი). აქ თივა ასაღებია 400 ჰექტარზე. საკვები უნდა დაასილოსონ 430 ტონა. მზად აქვთ სასილოსე ორმოები, თივის ასაღები მარტივი იარაღმანქანები, გამოყოფილია საკვების მომპოვებელი სპეციალური ბრიგადები და რგოლები.

ასევე კარგად მოემზადა ციხისჯვრის კოლმეურნეობა. აქ თივა ასაღებია 1.400 ჰექტარზე. შეიძინეს თივის ასაღები მარტივი მანქანები. კოლმეურნეობაში უკვე დაასილოსეს 120 ტონა გარეული ბალახი.

ბუნებრივი თივის ასაღებად მზად არიან აგრეთვე ტაბაწყურის, საკირის, დგვარის, წაღვერისა და ჭობისხევის კოლმეურნეობები.

გუჯარეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ქუმარიტაშვილი) გააჭიანურეს მზადება თივის აღებისათვის. მარტივი მანქანების რემონტი დაგვიანეს, არ მოემზადებიათ სასილოსე ორმოებიც. თივის აღებისათვის მზადყოფნის საქმეში უდარდელობას იჩენენ წითელი სოფლის (თავმჯდომარე ს. ფილიევი) და ტიმოთეს უბნის (თავმჯდომარე გ. ხრიკელი) კოლმეურნეობები.

ეს ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ. **(საკ. კორ.).**

წიგნის კვირეული

(ტელეფონით და ტელეგრაფით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტებისაგან)

კვირას, 24 ივლისს, საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონებში დიდი წარმატებით დაიწყო წიგნის კვირეული.

კვირეულის პირველ ორ დღეს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში დიდძალი პოლიტიკური, მეცნიერულ-პოპულარული, მხატვრული, სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური და საბავშვო ლიტერატურა გაიყიდა.

კვირეულისათვის კარგად მოემზადნენ თბილისში, ხოხუმში, ქუთაისში, აგრეთვე ზუგდიდის, გუდაუთის, ხარაგოულის, მახარაძის რაიონების წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციები.

პირველ დღეს მარტო ზუგდიდში გავრცელდა 30 ათასი მანეთის ლიტერატურა, მახარაძეში— 15.330 მანეთის, ხარაგოულში — 25 ათასის, ხოხუმში — 20 ათასის, გუდაუთში — 60 ათასი მანეთისა.

წიგნის კვირეული წარმატებით გრძელდება.

თბილისი

24 ივლისს დაიწყო წიგნის ვაჭრობის კვირეული. კვირეულისათვის კარგად მოემზადნენ თბილისის წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციები.

„საქწიგნის“ თბილისის № 1 ცენტრალური მაღაზიას (დირექტორი ი. მეერაბოვი) კვირეულის განმავლობაში გასაყიდად გამოტანილი აქვს 300 ათასი მანეთის 2.000 სახელწოდების მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული, პოლიტიკური, ტექნიკური ლიტერატურა. კვირეულის პირველი დღისათვის მაღაზიაში ბერიას რაიონის სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან უკვე მიღებული იყო 150 ათასი მანეთის ლიტერატურის შეკვეთა. მაღაზიას ჩვეულებრივ 5 მუდმივი კიოსკი აქვს. კვირეულისათვის დამატებით გაიხსნა სავაჭროები ვოროშილოვის კლუბში, 26 კომისრის ბაღში და სხვა ადგილებში.

მაღაზიამ ამ დღეებში ახალი ლიტერატურის დიდი პარტია მიიღო. ახალმიღებულ წიგნებშია ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, ა. პუშკინის რჩეული ნაწერების ოთხტომეულის მეორე ტომი (საიუბილეო გამოცემა), ვოლტერის „ფილოსოფიური მოთხრობები“ (ქართულად), ნ. დობროლიუბოვის „რჩეული ფილოსოფიური ნაშრომები“ და დიდძალი საბავშვო ლიტერატურა.

მაღაზიამ კვირეულის პირველი ორი დღის განმავლობაში გაავრცელა 39.240 მანეთის ლიტერატურა. აქედან მარტო პირველ დღის ნაღდ თულზე გაიყიდა 13 ათასი მანეთის წიგნები.

გათუმი

აჭარის წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებმა დიდი მზადება გასწიეს წიგნის კვირეულისათვის. „საქწიგნის“ აჭარის განყოფილებამ წიგნის კვირეულის განმავლობაში გასასყიდად გამოჰყო ნახევარი მილიონი მანეთის 2.000 სახელწოდების პოლიტიკური, სამეცნიერო-პოპულარული და მხატვრული ლიტერატურა.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა საჭრო ქსელი. რესპუბლიკის საქალაქო და რაიონულ მაღაზიებში „საქწიგნმა“ მოაწყო დროებითი ფარდულები, მოძრავი კიოსკები. ბათუმის კინოთეატრებში, სკვერებში, პარკებში დამატებით გაიხსნა წიგნის ვაჭრობა.

დიდძალი ახალი წიგნი მიიღეს „საქწიგნის“ იმ კიოსკებმა, რომლებიც მომსახურებას უწევენ ბათუმის კინოფეატრებს და მუშათა დაბებს. ასევე დიდძალი წიგნებია მიღებული „სოიუზპიჭატის“ კიოსკებში. აქ ამ დღეებში მიღებულია 2.000-ზე მეტი მანეთის ლიტერატურა. მათ შორის არის წიგნები სასოფლო-სამეურნეო და მეცნიერულ პოპულარულ საკითხებზე.

სასოფლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელში წიგნები იყიდება რაიონის ყველა 174 სარაიონო და სასოფლო მაღაზიაში, აჭარკოოპკავშირის სისტემის ფარდულებში. გარდა ამისა, შორეული სოფლების მომსახურებისათვის მოძრავი კიოსკების მოსაწყობად გამოყოფილია 9 ავტომანქანა.

სტალინის სახელობის ბათუმის ნავთგადამმუშავებელი ქარხნის, საჭრო ნავსადგურისა და მთელ რიგ საქალაქო და სასოფლო კლუბებსა და ბიბლიოთეკებში ეწყობა წიგნის საღამოები. საუბრები ტარდება როგორც რუსული და ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა, ისე თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებზე.

სოხუმი

წიგნის კვირეულის დაწყებასთან დაკავშირებით ზღვის სანაპირო პარკში, საკოლმეურნეო ბაზარში, რკინიგზის სადგურში, ლენინის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში დამატებით გაიხსნა წიგნის საჭრო კიოსკები, აგრეთვე მოეწყო მოძრავი ვაჭრობა მოსახლეობაში წიგნების გასავრცელებლად.

მყიდველთა განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსზე, მიჩურინის რჩეულ ნაწარმოებთა ოთხტომეულზე, რუსული და ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებებზე.

კვირეულის დაწყების პირველ დღეს საქწიგნის მაღაზიამ და მისმა კიოსკებმა გაყიდეს 8.300 მანეთის ლიტერატურა, ბუხაზვაჭრობის მაღაზიებმა — 6.850 მანეთის, „სოიუზპიჭატის“ კიოსკებმა — 5.400 მანეთის, სულ სოხუმში გაიყიდა 20 ათასი მანეთის ლიტერატურა.

სტალინირი

სამხრეთ ოსეთის სავაჭრო ორგანიზაციებმა წიგნის კვირეულის პირველ დღეს ბაზარზე გამოტანეს მილიონნახევარზე მეტი მანეთის ლიტერატურა. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ამ დღისათვის მაღაზიებს მიაწოდა თავისი ახალი გამოცემები ოსურ ენაზე: ლ. პ. ბერიას წიგნი — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, ოსური ხალხური ეპოსი „ნართები“, ა. ს. პუშკინის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეული და სხვა. მოეწყო წიგნის სარეალიზაციო მოძრავი წერტილები, დატარებითი ვაჭრობა.

კვირეულის პირველ დღეს დიდძალი წიგნი შეიძინეს ოლქის სოფლებში — ზნაურის რაიონის სოფელ სუნისის, იონეთის, წალტის, ოქონის, ახალშენის, ლენინგორის რაიონის იკოთის, დადიანეთის, ციცკოლის, უკანუბნის, აგრეთვე სტალინირისა და ჯავის რაიონების მთიანი რეგიონების კოლმეურნეობებმა. წიგნის კვირეულის პირველ დღეს ოლქის მშრომელებმა ათეული ათასობით მანეთის წიგნი შეიძინეს.

გუდაუთი

კვირას, წიგნის კვირეულის პირველ დღეს, გუდაუთის რაიონში გავრცელდა 60 ათასი მანეთის ლიტერატურა. დიდი რაოდენობით გაიყიდა სასოფლო-სამეურნეო წიგნები, განსაკუთრებით მიჩურინისა და ლისენკოს ნაშრომები.

ნეკროლოგი

ნიკო გოცირიძის ხსოვნისადმი

23 ივლისს თბილისში გარდაიცვალა ქართული თეატრის უხუცესი მსახიობი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი — ნიკოლოზ სვიმონის-ძე გოცირიძე.

ქართულმა თეატრმა დაჰკარგა სცენის უნიჭიერესი ოსტატი, რომელიც სამოცი წლის მანძილზე ემსახურებოდა ქართული სასცენო ხელოვნების აღორძინების საქმეს.

ნიკო გოცირიძე დაიბადა 1872 წლის 6 აგვისტოს, თბილისში, ხელოსნის ოჯახში. სწავლა მიიღო თბილისის სახელოსნო სასწავლებელში. პირველ ხანებში იგი მუშაობდა მხატვრად კერძო მოიჯარადრეებთან. 1893 წელს ნიკომ მუშაობა დაიწყო თბილისში რკინიგზის მთავარ სახელოსნოში მღებავად, სადაც 28 წელი დაჰყო. პარალელურად ეწეოდა სასცენო მოღვაწეობასაც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნიკო გოცირიძე გადაყვანილი იქნა პროფესიონალ მსახიობად რუსთაველის სახელობის თეატრში.

სასცენო ხელოვნების სიყვარული ნიკო გოცირიძეს ბავშვობიდანვე ჩაენერგა. სიყრმისას ნიკო გოცირიძე თავის ტოლებთან ერთად მართავდა სცენის მოყვარეთა წარმოდგენებს თბილისის მუშა-ხელოსანთა უბნებში. 1893 წლიდან 1896 წლამდე როგორც მსახიობი ნიკო გოცირიძე მონაწილეობას იღებდა თბილისის ქართული თეატრის წარმოდგენებში. მას მუშაობა უხდებოდა ქართული სცენის ისეთი დიდი ოსტატების გვერდით, როგორიც იყვნენ მატო გაბუნია, მაკო საფაროვა, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე.

90-იან წლებში მუშათა მოძრაობის აღმავლობის პერიოდში თბილისში საფუძველი ჩაეყარა მუშა ხელოსნების სცენისმოყვარეთა დრამატიულ წრეს. ამ წრეს 1897 წელს შეეკიდა სასცენო ხელოვნებაში უკვე საკმაოდ დაოსტატებული ნიკო გოცირიძე. ავჭალის აუდიტორია 1905 წლის რევოლუციის პერიოდში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ დასაყრდენ პუნქტად გადაიქცა და ნიკო გოცირიძეც სასცენო მოღვაწეობასთან ერთად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. ... ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, ხატავდა რევოლუციურ დროშებს და სხვ.

ნიკო გოცირიძის სასცენო მოღვაწეობა არ ისაზღვრებოდა მხოლოდ ავჭალის აუდიტორიით და სახალხო სახლით, ის ხშირი სტუმარი იყო თბილისის განაპირა უბნებისა და საქართველოს დაბა-ქალაქებისა: მისი, როგორც ნიჭიერი მსახიობის გასტროლები, მუდამ აუარებელ მაყურებელს იზიდავდა. ნიკო გოცირიძე არ შორდებოდა მუშათა წრეს და იშვიათი გულმოდგინებით ათავსებდა შემოქმედებით მოღვაწეობას ფიზიკურ შრომასთან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნ. გოცირიძე მუშაობს პროფესიულ თეატრში. საბჭოთა საზოგადოებრიობამ მას დიდი ზეიმით გადაუხადა სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. ნ. გოცირიძეს, ერთ-ერთ პირველთაგანს, მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება. ნიკო გოცირიძე 1929-1931 წლებში არჩეული იყო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, ხოლო რამდენჯერმე — თბილისის საქალაქო საბჭოს წევრად. ნიკო გოცირიძე მონაწილეობას იღებდა 1936 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვში გაგზავნილ დელეგაციაში, რომელიც კრემლში ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა მიიღო. ნ. გოცირიძე დაჯილდოებული იყო „სპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-45 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ქართული რეალისტური სასცენო სკოლის მიმდევარმა ნ. გოცირიძემ დიდი სიმართლით და სისრულით განასახიერა მრავალი ათეული როლი. მის სასცენო მოღვაწეობას მუდამ ახასიათებდა ნამდვილი, ღრმად მოფიქრებული შრომა სასცენო სახეებზე, მტკიცე შემოქმედებითი დისციპლინა. გასულ წელს აღინიშნა ნ. გოცირიძის სასცენო მოღვაწეობის 60 წლის იუბილე.

ნიჭიერი საბჭოთა მსახიობის, სცენის უანგარო მოღვაწის — ნიკო გოცირიძის სახელი მუდამ დარჩება ქართული თეატრის ისტორიაში.

ტ. აბაშიძე, ვ. ადამიძე, კ. ანდრონიკაშვილი, დ. ანთაძე, ვ. ანჯაფარიძე, დ. ანდღულაძე, დ. არაყიშვილი, ა. ბერიოანი, შ. ბუაჩიძე, გ. ბუხნიკაშვილი, ხ. გერსამია, ნ. გვარაძე, ი. გვინჩიძე, ზ. გომელაური, შ. გოცირელი, ვ. გოძიაშვილი, ი. გრიშაშვილი, შ. დადიანი, გ. დავითაშვილი, ნ. დავითაშვილი, ი. დოლიძე, ე. დონაური, ა. ვასაძე, ნ. ვაჩნაძე, გ. ვენაძე, ხ. ზაქარიაძე, ი. ზურაბიშვილი, ა. თაყაიშვილი, მ. თოიძე, ი. იმედაშვილი, ხ. ინაშვილი, პ. კანდელაკი, ა. კვანტალიანი, პ. კობახიძე, შ. მამალაძე, მ. მდივანი, შ. მშველიძე, ი. ნიკოლაძე, ვ. ნინიძე, ა. ფორფოლიანი, ბ. ულღანტი, მ. სარაული, ე. სატანა, ვ. ურუშაძე, ა. ფალავა, პ. ფრანგიშვილი, შ. დამბაშიძე, ვ. ყუშიტაშვილი, ხ. შანშიაშვილი, ხ. ჩიქოვანი, ა. ჩხარტიშვილი, ნ. ჩხეიძე, უ. ჩხეიძე, ნ. ცომაია, დ. ძნელაძე, ა. წულუნავა, ც. წულუნავა, თ. ჭავჭავაძე, ს. ჭელიძე, მ. ჭიაურელი, ა. ხორავა, გ. ჯაბაური, ნ. ჯავახიშვილი, დ. ჯანელიძე.

* * *

შემქმნილია სახალხო არტისტის ნიკო გოცირიძის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ი. დოლიძე (თავმჯდომარე), შ. დადიანი, ა. ხორავა, ა. ვასაძე, ა. ჩხარტიშვილი, შ. ბუაჩიძე, ვ. ანჯაფარიძე, ნ. ჩხეიძე, ი. გრიშაშვილი, გ. ვენაძე, ა. თაყაიშვილი, დ. ანდღულაძე.

დაკრძალვა მოხდება სახელმწიფოს ხარჯზე.

მაღალ საფეხურზე დავაყენოთ ქირურგიული დახმარების საქმე რაიონებში

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა ქალაქად და სოფლად მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების გასაუმჯობესებლად. მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს ჯანმრთელობის დაცვის სარაიონო რგოლის ყოველმხრივ განმტკიცებას, რისთვისაც გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები — საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების გაერთიანება, რაიონულ საავადმყოფოთა რეორგანიზაცია ახალი მოთხოვნების მიხედვით, რაიონებისათვის სპეციალისტების მომზადება. ამ ღონისძიებათა შედეგად თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა მოსახლეობის საექიმო მომსახურების ხარისხი, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მთავარი ყურადღება მიპყრობილ იქნა რაიონის საავადმყოფოებისადმი. ისინი დაკომპლექტებული არიან წამყვანი სპეციალისტებით: ქირურგებით, თერაპევტებით, პედიატრებით, მეან-გინეკოლოგებით და რენტგენოლოგებით.

რაიონებში შექმნილია ყოველგვარი პირობები მოსახლეობისათვის კვალიფიციური სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად და ამით აღკვეთილია ის მიზეზები, რომლებიც წინათ სოფლის მოსახლეობას აიძულებდა საექიმო დახმარების მისაღებად ქალაქისათვის მიემართა.

რაიონის სამედიცინო დაწესებულებებში ერთ-ერთი პასუხისმგებელი სპეციალისტია ქირურგი. ქირურგს ყველა შემთხვევაში და ყოველთვის უნდა შეეძლოს ავადმყოფისათვის საჭირო ოპერაციული დახმარების აღმოჩენა. თუ თერაპიული ავადმყოფი შეიძლება გაჩერებულ იქნას რამდენიმე ხანს კონსულტანტის გამოძახებამდე, გადაუდებელი ქირურგიული ჩარევის საჭიროების დროს, განსაკუთრებით „მწვავე მუცლის“ შემთხვევებში, არავითარი ლოდინი არ შეიძლება. და ავადყოფს დაუყოვნებლივ უნდა გაეწიოს ქირურგიული დახმარება. ამიტომ რაიონული ქირურგი მუდამ მზად უნდა იყოს, კარგად ერკვეოდეს იმ დაავადებათა პათოლოგიასა და კლინიკაში, რომლებიც მოითხოვენ გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევას.

დროული და სწორი ქირურგიული დახმარების ორგანიზაცია რაიონებში დიდად არის დამოკიდებული რაიონული ქირურგის აქტიურობასა, მომზადებასა და უნარიანობაზე. რაიონის ქირურგი პასუხისმგებელია მთელი ქირურგიული დახმარებისათვის რაიონში. ის უნდა იყოს დაინტერესებული ყოველი ავადმყოფის ბედით. რაიონული ქირურგი უნდა ხელმძღვანელობდეს უბნის ექიმებს, წვრთნიდეს მათ დიაგნოსტიკაში და პირველი დახმარების აღმოჩენაში, გადაუდებელი ქირურგიის და კერძოდ „მწვავე მუცლის“ შემთხვევაში; რაიონულმა ქირურგმა უნდა მიიღოს ყველა ზომები, რათა მოგვარებულ იქნას ავადმყოფის ტრანსპორტირება სოფლიდან რაიონულ საავადმყოფოში. ამასთან, რაიონული ქირურგი უბნის ექიმთან ერთად მოსახლეობაში უნდა ატარებდეს სისტემატურ გეგმიან სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებულმა ყველა რაიონული ქირურგების ატესტაციამ, აგრეთვე რაიონულ ქირურგთა კონფერენციებმა მოწყობილმა სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, სამტრედიასა და ქუთაისში, ნათელყო, რომ რესპუბლიკის უმეტეს რაიონებში მუშაობენ კვალიფიციური ქირურგები, რომელთა სპეციალური ქირურგიული სტაჟია ხუთი, ათი და ძეტი წელი. ყველა რაიონულ საავადმყოფოში გამოყოფილია პალატები და ზოგან გასაყოფილებები, რომლებიც კარგად არიან მოძარაგებული აპარატურით და იარაღებით.

ცხობილია, რომ, ავადმყოფთა ნაადრევ ჰოსპიტალიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გადაუდებელი ქირურგიის და კერძოდ მწვავე შემთხვევებში. ავადმყოფების ჰოსპიტალიზაცია ხდება რაიონებში სასწრაფო დახმარების მანქანით და სოფლის საბჭოს და კოლმეურნეობის ტრანსპორტით.

ზუგდიდის, ჭიათურის, ფოთის, ქასპის და მახარაძის რაიონებში სასწრაფო დახმარების საქმე კარგად არის დაყენებული. ზოგიერთი სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯერ კიდევ ვერ აფასებს ტრანსპორტის მიცემის მნიშვნელობას ავადმყოფის გადასაყვანად რაიონულ საავადმყოფოში. ამას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა.

ზესტაფონის რაიონულმა ქირურგმა გ. კახიძემ სანიმუშოდ მოაწყო ქირურგიული მუშაობა საავადმყოფოში; რაიონში მან შემოიკრიბა ექიმების ახალგაზრდა კადრები. ქირურგები წარმატებით აკეთებენ დიდ ოპერაციებს.

ზუგდიდის რაიონის ქირურგი მესხი სისტემატურად მიდის უბნის საავადმყოფოებში (სოფლები დარჩელი, ანაკლია, ხეცერა), ატარებს იქ ოპერაციებს და კონსულტაციებს.

ცაგერის რაიონულმა ქირურგმა ტყეშელაშვილმა ფართოდ გაშალა ოპერაციული მუშაობა საავადმყოფოში. დიდი ოპერაციები, რომელთა გასაკეთებლად მოსახლეობა წინათ იძულებული იყო წასულიყო ქუთაისში ან თბილისში, ამჟამად წარმატებით კეთდება ცაგერის საავადმყოფოში.

მახარაძის რაიონის ქირურგმა ჯიბუტმა კარგად მოაწყო ქირურგიული დახმარება რაიონში. მან ყველა ქირურგი მიამაგრა უბნის ექიმებს, რომელთაც ისინი სისტემატურ ხელმძღვანელობას უწევენ და იღებენ ზომებს, რომ ყველა უბანი მომარაგებული იყოს საჭირო ძედიკამენტებით.

ასევე სახიძუმოდ მუშაობენ რაიონული ქირურგები ქვარიანი (ჭიათურა), გრიდნევი (ბორჯომი), ჩირგაძე (ვასპი), თოთიბაძე (ხაშური), ლორთქიფანიძე (გუდაუთი) და სხვები.

რაიონულმა ქირურგებმა თავისი გამოცდილება და ცოდნა უნდა გაუზიარონ ახალგაზრდა ექიმებს და ამით წინ წასწიონ ქირურგიული საქმე. ჯერ კიდევ შედარებით დიდია დიაგნოზების სხვაობა. ყველა რაიონებში არ ხდება პათოლოგიურ-ანატომიური განკვეთები და შემთხვევების დეტალური გარჩევა, სისხლის გადასხმა. ყველგან არ არის რენტგენის კაბინეტი. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები ამ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში აღმოსაფხვრელად.

სოფლად ქირურგიული დახმარების გაუმჯობესების მიზნით ქირურგიული კლინიკების ხელმძღვანელებმა შეფობა უნდა აიღონ რაიონულ ქირურგებზე, დაეხმარონ მათ მუშაობის წარმატებით შესრულებაში.

ადგილებზე კადრებს სჭირდებათ შესწავლა, აღზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება. მიმდინარე წლის სექტემბერში ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიელინებულ იქნება 20 რაიონული ქირურგი. მაგრამ ეს არ კმარა. სოფლად მომუშავე ქირურგებისადმი დახმარება უნდა გავაძლიეროთ სხვა საშუალებებითაც,—როგორიცაა შეფობა, ხშირი კონსულტაციები და სხვ.

საჭიროა ისე მოვაწყოთ საქმე, რომ უახლოეს დროში მოვსპოთ განსხვავება ქალაქისა და სოფლის საექიმო დახმარებას შორის. ამ ამოცანის შესრულებისათვის უნდა იბრძოლოს ჯანმრთელობის დაცვის ყოველმა დაწესებულებამ, ყოველმა ექიმმა.

პროფესორი ნ. ანთელავა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი

გამოფენა „საბჭოთა პოლიტიკური პლაკატი“

16-ში გაიხსნა და 31 ივლისამდე გასტანს თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაოფენა „საბჭოთა პოლიტიკური პლაკატი“. ეს გამოფენა უკვე ძოეწყო მოსკოვსა და ლენინგრადში, ბალტიის-პირეთში, უკრაინაში, იმიერკავკასიაში და გაიმართება საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ყველა ცენტრალურ ქალაქში.

გამოფენის ექსპოზიცია იწყება მხატვრების—ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების დ. ს. მოორის, ვ. ნ. დენის, მ. მ. ჩერემნიხის ნამუშევარით ჩვენებით. მათ პოლიტიკურ პლაკატზე მუშაობა დაიწყეს რევოლუციის პირველი წლებიდან. საბრძოლო აგიტაცია რევოლუციის მტრების წინააღმდეგ საყოველთაო სახალხო შეტევისათვის — აი ამ მხატვართა შემოქმედების ძირითადი იდეა.

გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი კარიკატურისტების სტალინური პრემიის ლაურეატების მხატვარ კუკრინიკსების და მხატვრების ბ. ე. ეფიმოვისა და ნ. ა. დოლგორუკოვის სატირული პლაკატები. ომის დაწყების მეორე დღესვე შექმნეს კუკრინიკსებმა თავიანთი შესანიშნავი პლაკატი „დაუნდობლად გავანადგურეთ და მოვსპოთ მტერი“. ბ. ე. ეფიმოვისა და ნ. ა. დოლგორუკოვის გონებამახვილ პლაკატზე საბჭოთა კავშირი წარმოდგენილია მიუვალი ციხესიმაგრის სახით.

გამოფენის ექსპოზიციის ცენტრშია სტალინური პრემიის ლაურეატის მხატვარ ირაკლი თოიძის პლაკატები. დიადი და მონუმენტურია საბჭოთა ხალხის გენიალური ბელადის ამხანაგ სტალინის სახე ირ. თოიძის პლაკატებში.

უმაგალითო აყვავებას, უდიდეს ემოციურ გამომხატველობას მიაღწია პლაკატმა დიდი სამამულო ომის წლებში. ირ. თოიძის პლაკატი „დედა სამშობლო გიძახის!“, ვ. ბ. კორეცკის პლაკატი „წითელი არმიის მეომარო, გვიხსენი!“ და დ. ა. შმარშოვის პლაკატი „შენ გელი, განმათავისუფლებელო მეომარო!“ გმირობისათვის აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა მეომრებს და ყველა საბჭოთა ადამიანს, უნერგავდნენ მათ მუდამ ერგავე სიძულვილს ტირანადმი და მზნეებარე პატრიოტულ სიყვარულს ძვირფასი სოციალისტური სამშობლოსადმი.

მხატვარ ანტონოვის პლაკატში მოხუცი ქალი დგას დაბნეული, უმწეო, ხელში უჭირავს პატარა ფუთა, დგას თავის ნასახლარზე... ყველაფერი გადაბუგულია, დატაცებულია... მაგრამ მას თვალებში იმედი უბრწყინავს... შვილო, შენ ხედავ ჩემს სახლს... გაანადგურე ფაშისტები წმიდა ბრძოლაში! იგი ასე მიმართავს არა მარტო თავის შვილს, რომელიც ფრონტზე იბრძვის, არამედ ყველა საბჭოთა მეომარს. საუკეთესო შთაბეჭდილებას ახდენს კორეცკის პლაკატი „გვიხსენი“.

მამაცობა, გმირობა და მისწრაფება გამარჯვებისადმი — აი ის თვისებანი, რომლებსაც თავიანთი პლაკატების გმირებს — საბჭოთა მეომრებს ანიჭებენ სტალინური პრემიის ლაურეატები მხატვრები ა. ა. კოპორკინი, ა. ფ. გოლოვანოვი, ნ. ნ. ჟუკოვი, ვ. ს. კლიმანინი და ვ. ს. ივანოვი.

ომისშემდგომი თემატიკის ბევრი სიცოცხლით აღსავსე, ლამაზი პლაკატი შედის გამოფენის ექსპოზიციაში. მათ შორის არის სახეები მშენებლებისა და საწარმოო მუშაკებისა, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ ხუთწლიან გეგმებს. გამოფენაზე წარმოდგენილია ჭკვიანი, ცოდნისმოყვარე სახეები კოლმეურნეებისა, რომლები

მზადება საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების 4 წლისთავის დღესასწაულისათვის

ფხენიანი, 23 ივლისი. (საკუთრ.). საბჭოთა არმიის მიერ იაპონელ დამპყრობთაგან კორეის განთავისუფლების 4 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობს. კორეის დიდი ქალაქებისა—ფხენიანის, ხამხინის, ჩენგდინის, სინდიფუს და სხვების ადგილობრივ მუზეუმებში ეწყობა განყოფილებები, რომლებიც გვიჩვენებენ კორეელი ხალხის ბრძოლას თავისი განთავისუფლებისათვის, საბჭოთა არმიის უდიდეს როლსა და საბჭოთა ხალხის უანგარო დახმარებას. მრავალ ქალაქში ეწყობა სპეციალური საზეიმო კრებანი. ფხენიანში გაიხსნება რესპუბლიკის 4 წლის მიღწევების სრულიად კორეის გამოფენა. გამოფენისათვის შენდება სპეციალური შენობა.

ამ შესანიშნავი წლისთავის აღსანიშნავად მოეწყობა აგრეთვე მასობრივი სპორტული შეჯიბრებანი.

გაზეთ „ტხესა სინმუნის“ ცნობით, ქალაქ ნამხოს მშრომელებმა საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების 4 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით გადაწყვიტეს ქალაქში აღმართონ საბჭოთა არმიის იმ მებრძოლთა და ოფიცერთა ძეგლი, რომლებიც კორეის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცნენ. ეს ძეგლი საბჭოთა არმიის მარადიული დიდების სიმბოლო იქნება, არმიისა, რომელმაც იაპონელთა უღლისაგან გაათავისუფლა კორეელი ხალხი. ძეგლის მშენებლობა დამთავრდება ივლისის ბოლოს, ხოლო მისი გახსნა მოეწყობა 15 აგვისტოს.

1 სექტემბერი გერმანიაში მშვიდობის დღედ გამოცხადდა

გერმანიის სახალხო საბჭოს დადგენილება

ბერლინი, 23 ივლისი. (საკუთრ.). გერმანიის სახალხო საბჭომ დადგენილება მიიღო, რომ 1 სექტემბერი მშვიდობის დღედ გამოცხადდეს და მთელ გერმანელ ხალხს მოუწოდა ხელი შეუწყოს გერმანიაში მშვიდობისათვის მოძრაობის გაფართოებისა და გაღრმავებას ამ დღეს ყველა ქალაქსა და თემში მიტინგებისა და კრებების ჩატარების გზით.

გერჰარდ აისლერი არჩეულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გამგეობაში

პრაღა, 23 ივლისი. (საკუთრ.). ტელეპრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბერლინიდან გადმოგვცემს, რომ ცნობილი გერმანელი ანტიფაშისტი გერჰარდ აისლერი, რომელიც ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა გერმანიაში, არჩეულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გამგეობის წევრად.

გაიხსნა 1949 წლის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალი

პრაღა, 23 ივლისი. (საკუთრ.). დღეს ქალაქ მარიანსკე ლაზნეში დაიწყო 1949 წლის მე-4 ტრადიციული საერთაშორისო კინოფესტივალი.

კინოფესტივალის გახსნისას ჩეხოსლოვაკიის კინომრეწველობის გენერალურმა დირექტორმა მახაჩეკმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა განსაკუთრებული საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს მარიანსკე ლაზნეში გამართულ ფესტივალს ხალხთა მეგობრობის განმტკიცების, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის იდეათა პროპაგანდის საქმისათვის.

კინოფესტივალის ძირითადი პროგრამა დაიწყო საბჭოთა კინემატოგრაფიის თვალსაჩინო ნაწარმოების — კინოფილმ „სტალინგრადის ბრძოლის“ (პირველი სერია) გასინჯვით.

გასინჯვას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის წევრები, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში მ. ა. სილინი, მრავალი უცხოელი სტუმარი, ჩეხოსლოვაკიის კინოს თვალსაჩინო მოღვაწეები, უცხოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სურათის ჩვენების წინ მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვეს საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ვ. რ. შჩერბინამ და მსაზიობმა ა. დიკიმ.

გუდგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დეკლარაცია

სოფია, 23 ივლისი. (საკუთრ.). დიდი სახალხო კრების რიგგარეშე სესიის დღეგანდელ სხდომაზე მთავრობის დეკლარაცია წაიკითხა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვასილ კოლაროვმა, რომელსაც დეპუტატები მჭუხარე და ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ.

სამამულო ფრონტის წრიდან გამოსული მთავრობა, ნათქვამია დეკლარაციაში, კვლავაც სამამულო ფრონტს დაეყრდნობა და მისი მძლავრი დახმარების იმედი ექნება ქვეყნის მართვის საქმეში.

ბულგარეთის მთავრობა, აღნიშნულია დეკლარაციაში, მომავალშიც მტკიცედ და განუზრელად დაიცავს ჩვენი სახალხო რესპუბლიკის მართვის იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც დადგენილი და ნაცადია მინისტრთა საბჭოს განსვენებული თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. მთავრობა მთლიანად კისრულობს პასუხისმგებლობას ქვეყნის მართვისათვის 1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ და ამაყად დაიცავს მას. სამამულო ფრონტის პროგრამა და განსაკუთრებით ბულგარეთის კომუნისტური პარტიის V ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა ამხ. გიორგი დიმიტროვის მოხსენების გამო, მთავრობისათვის სახელმძღვანელო იქნება ყველა მის წამოწყებასა და ღონისძიებაში.

ბულგარეთის მთავრობა საკუთარი ინიციატივა მინისტრთა საბჭოს განსვენებული თავმჯდომარის ამხ. გ. დიმიტროვის ღრმა რწმენის, რომ სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში შეიძლება აშენებულ იქნას და აშენდება მხოლოდ საბჭოთა კავშირის დახმარებით და საბჭოთა დემოკრატიის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამიტომ მთავრობა განუზრელად განახორციელებს გულწრფელი მეგობრობის პოლიტიკას საბჭოთა კავშირთან, საბჭოთა თანამრომლობასთან, რომელსაც სათავეში უდგას ბულგარელი ხალხის დიდი მეგობარი და დამცველი ი. ბ. სტალინი; მთავრობა ბეჯითად იმუშავებს იმ მეგობრული კავშირის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, რაც საბედნიეროდ დამყარდა ბულგარელ ხალხსა და სხვა ქვეყნების ხალხებს შორის, რომლებსაც სახალხო დემოკრატიული მმართველობა აქვთ.

მთავრობა კვლავაც მტკიცედ იდგება მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების ფრონტის მხარეზე და მხარს დაუჭერს საერთაშორისო მშვიდობისა და, უწინარეს ყოვლისა, ბალკანეთში მშვიდობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისაკენ მიმართულ ყოველ ინიციატივას.

მთავრობას შეგნებული აქვს ბულგარეთის საერთაშორისო ვალდებულებანი და აღფრთოვანებულია იმ სურვილით, რომ მეგობრული ურთიერთობა იქონიოს ყველა ქვეყანასა და ხალხთან. იგი ფხიზლად დაიცავს ჩვენი სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, ეროვნულ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს და მტკიცე წინააღმდეგობას გაუწევს ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევის ყოველ ცდას, თავისუფლებასმოყვარე და პოლიტიკურად შეგნებული და ამაყი ხალხის პატივისა და ღირსების დამცირების ყოველ ცდას. თუ კანონის მთელი სიმკაცრით დასჯის იმათ, ვინც ცდილობს მოუსპოს ხალხს უდიდესი ისტორიული მონაპოვარი, თავის სამშობლოს ღალატობს და გარეშე, უცხო ინტერესებს ემსახურება.

შემდეგ მთავრობის დეკლარაციაში ჩამოყალიბებულია ამოცანები სახალხო მეურნეობის დარგში, საშინაო პოლიტიკის დარგში და სხვ.

მთავრობის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო კამათი. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის სახელით გამოსულმა — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა პოპტომოვმა და ბულგარეთის მიწათმოქმედთა სახალხო კავშირის საპარლამენტო ჯგუფის სახელით გამოსულმა ივანი ივანოვმა, აგრეთვე სხვა დეპუტატებმა საუბრებით მოიწონეს მთავრობის დეკლარაცია და განაცხადეს, რომ მზად არიან და მტკიცედ გადაწყვეტილი აქვთ მთელი ძალღონე მოახმარონ მის შესრულებას.

შემდეგ მთავრობის დეკლარაციას კენჭი უყარეს და იგი დიდი სახალხო კრების ყველა დეპუტატმა ერთხმად მოიწონა. კენჭისყრის შემდეგ სესიის მონაწილენი ფეხზე დგებენ და მქუხარე და ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვასილ კოლაროვს და მთავრობის წევრებს.

ზახარიადისის აზრი გრამოსზე საბერძნეთის მეფის ჯარების მომავალი შეჭრის შესახებ

პრაღა, 23 ივლისი. (საკუთრ.). როგორც ტელეპრესის სააგენტო იუწყება, რადიოსადგურმა „თავისუფალმა საბერძნეთმა“ გადასცა საბერძნეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ნიკოს ზახარიადისის სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ ბერძენმა მონარქისტ-ფაშისტებმა გადაწყვიტეს თავიანთი „1949 წლის დიდი შეტევა“ დაიწყონ დემოკრატიული არმიის ნაწილების მიერ დაკავებულ მთიან რაიონ გრამოსში და არა ვიცის რაიონში, როგორც ეს განზრახული იყო. ამ მიზნით, ამბობს ზახარიადისი, ათენის ხელისუფალნი გრამოსის რაიონში უყრიან თავს „თავიანთ რჩეულ სამხედრო ნაწილებს, დიდძალ არტილერიასა და ავიაციას, აგრეთვე აგროვებენ მათი უცხოელი ბატონებისაგან მიღებული სამხედრო მასალის მარაგს“.

გრამოსზე შეტევის შესახებ გადაწყვეტილებას რომ ერთგვარი რეალობა მისცემოდა, ამისათვის, ნათქვამია სტატიაში, საბერძნეთში ამერიკის სამხედრო მისიის მეთაური ვან ფლიტი იძულებული გახდა ვაშინგტონს გამგზავრებულიყო, რათა მიეღწია, რომ ამერიკისა და ინგლისის რეჟიმის ახალი სიმაღლე მასალა და თვითმფრინავები გაეგზავნა მონარქისტ-ფაშისტებისათვის. ამ მასალის გადმოტვირთვა ამჟამად წარმოებს საბერძნეთის ყველა ნავსადგურში. ინგლისიდან ჩამოვიდა „სპიტფაირის“ მარკის 23 თვითმფრინავი. საბერძნეთში გაიგზავნა ავიაციის 5 ამერიკელი გენერალი.

ზახარიადისი აღნიშნავს, რომ მონარქისტ-ფაშისტთა ავიაციის თვითმფრინავთა ეკიპაჟები უმთავრესად ამერიკელებისაგან შედგებიან. ამ შეტევის მოსამზადებლად, აღნიშნავს ავტორი, ათენის ხელისუფალთ მოუხდათ მთელი რიგი გენერლების შეცვლა და „დიდძალ ჯარისკაცთა სიკვდილით დასჯა, რათა დანარჩენთათვის გრამოსის მწარე აბი ჩაეყლაპებინაო“.

მონარქისტი ფაშისტებისათვის, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რაც შეიძლება მალე მოიღწიონ დიდ წარმატებას, რადგან მათ გაუცრუვდათ მთელი ლაპარაკი გამარჯვების შესახებ და პროპაგანდა. „მათ კონკრეტული სამხედრო შედეგები ესაჭიროებათ, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ სესიაზე წინააღმდეგობა გაუწიონ მათზე და მათ ბატონებზე საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენას, აზრისა, რომელიც დაეჭინებათ მოითხოვს საბერძნეთის საკითხის მშვიდობიან მოგვარებას, რის მიღწევაც შეიძლება საბჭოთა მთავრობის წინადადებათა საფუძველზე“.

ზახარიადისი გაფრთხილებას იძლევა, რომ ათენის ხელისუფალნი „ცდილობენ გამოიწვიონ პირდაპირი სამხედრო ინტერვენცია საბერძნეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით, რათა მოიპოვონ სამხედრო ბატონობა, რისთვისაც მათ ვერ მიუღწევიათ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების, ინგლისის ავიაციისა და თავიანთი საკუთარი დემორალიზებული არმის დახმარებით“.

იგი აღნიშნავს, რომ ეს სამხედრო ბატონობა განსაკუთრებით ახლა ესაჭიროებათ ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტებს, როცა მათ კავშირი დადეს გამცემ ტიტოსთან, რათა განახორციელონ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული თავიანთი იმპერიალისტური გეგმები.

დასასრულ ზახარიადისი წერს: „წელს, ისევე როგორც შარშან, გრამოსზე ბრძოლა სასტიკი იქნება. აქ მრავალი ათასი ჯარისკაცი დაიღუპება, რადგან ამას მოითხოვს დოლარის პოლიტიკა. წელს, ისევე როგორც შარშან, მონარქისტი ფაშისტები თავიანთ ძალებს შეალევენ გრამოსს. წელს, ისევე როგორც შარშან, გრამოსი მათი სამარე იქნება“.

ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი სნაიდერი ათენს ჩავიდა

ათენი, 23 ივლისი. (საკუთრ.). გუშინ ათენს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი სნაიდერი, რომელსაც მიღება მოუწყო პრემიერ-მინისტრმა დიომიდისმა.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნოს და მეზღვაურთა და დოკერთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების სადმინისტრაციული კომიტეტის გადაწყვეტილება

პარიზი, 24 ივლისი. (საკუთრ.). გუშინ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნოს და მეზღვაურთა და დოკერთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების ადმინისტრაციული კომიტეტის (პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საწარმოო განყოფილება) ერთობლივ თათბირზე მოსმენილ იქნა იმ დელეგაციის ანგარიში, რომელიც ლონდონში იყო ლონდონის დოკერთა „ლოკაუტის კომიტეტის“ მიწვევით, რათა ინფორმაცია მიეღო ლონდონის ნავსადგურის მუშათა გაფიცვის შესახებ. დელეგაციაში შედიოდნენ გოლდბლატი, მალეტი და ბლაკენზნი.

დელეგაცია ესაუბრა ლონდონის დოკერთა „ლოკაუტის კომიტეტის“ მეთაურს და მიიღო იმ მოვლენების დეტალური ანალიზი, რომელმაც გამოიწვია ლოკაუტი და ამჟამად არსებული მდგომარეობა. როგორც დელეგაციამ განაცხადა, იგი სკოტლენდ იარდსა (ინგლისის პოლიცია. — რედ.) დაუკავა და ინგლისის მთავრობამ ინგლისიდან გაიძევა.

მეზღვაურთა და დოკერთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების ადმინისტრაციულმა კომიტეტმა განაცხადება გააკეთა იმ ლოკაუტის გამო, რომელიც ლონდონის დოკერების მიმართ გამოიყენეს, და ზემოხსენებული დელეგაციის ინგლისიდან გაძევებასთან დაკავშირებით. განცხადებაში ნათქვამია, რომ ლონდონის დოკერთა მოქმედება საერთაშორისო პროფკავშირული სოლიდარობის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს, ხოლო მთა მამაცობა და ერთიანობა მთელი მსოფლიოს პროფკავშირული მოძრაობის აღტაცებისა და მოწონების ღირსია. ინგლისის მთავრობის მიერ მშრომელების წინააღმდეგ ჯარების გამოყენება და პროფკავშირული მოძრაობის მოღალატეთა ცდები — ეიძულებინათ პროფკავშირის წევრები შტრაიკბრეიერებად ემოქმედნათ, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ისეთი ზომებია, რომელთა წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს მთელი პროფკავშირული მოძრაობა უნდა დაირაზმოს. ლონდონის დოკერების მიმართ გამოყენებული ლოკაუტი კვლავ ადასტურებს იმის ისტორიულ მნიშვნელობასა და აუცილებლობას, რომ მეზღვაურები და დოკერები დაირაზმონ მეზღვაურთა და დოკერთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებად. მხოლოდ ამ ორგანიზაციის დახმარებით შეუძლიათ ზღვის მშრომელებს მთელ მსოფლიოში წარმატებით იბრძოლონ თავიანთ მონაპოვართა დასაცავად და უზრუნველყონ თავიანთი ინტერესები. მხოლოდ ისეთი ორგანიზაციის საშუალებით შეუძლიათ მათ წარმატებით მოიგერიონ ისეთი თავდასხმები, როგორიც ლონდონის დოკერებმა განიცადეს.

მეზღვაურთა და დოკერთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების ადმინისტრაციული კომიტეტი მტკიცე პროტესტს აცხადებს ინგლისის ხელისუფლების მიერ მისი დელეგაციის დაპატიმრებისა და გაძევების წინააღმდეგ.

განცხადება მეზღვაურთა და დოკერთა ყველა პროფკავშირს მოუწოდებს მიიღონ საპროტესტო რეზოლუციები „ინგლისის მთავრობის ამ აქტის წინააღმდეგ“.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნო და მეზღვაურთა და დოკერთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების ადმინისტრაციული კომიტეტი კვლავ ადასტურებენ თავიანთ გადაწყვეტილებას განაგითარონ და განამტკიცონ მეზღვაურთა და დოკერთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანება.

ბრძანება სირია-პალესტინის საზღვრებიდან ერაყის ჯარების გაყვანის შესახებ

ტელ-ავივი, 23 ივლისი. (საკუთრ.). როგორც ბაღდადის რადიო იუწყება, ისრაელის სახელმწიფოსა და სირიას შორის სამშვიდობო მოწესრიგების შესახებ შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით ერაყის თავდაცვის მინისტრმა ბრძანება გასცა სირია-პალესტინის საზღვრების სტრატეგიული პოზიციებიდან ერაყის ჯარების გაყვანის შესახებ.

არაგვისა და თერგის ხეობების სპერო არქიტექტურის ძეგლები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილება გასულ წელს შეუდგა საქართველოს ციხე-სამაგრეებისა და საერო ნაგებობათა შესწავლას. პირველ რიგში შესწავლილ იქნა მდინარე ქსნის ხეობაში არსებული ძეგლები. წელს განზრახული იყო მუშაობის გაგრძელება აღნიშნული ტერიტორიის მომიჯნავე ჩრდილო-აღმოსავლეთის მონაკვეთზე. ამ მიზნით ივნისის დასაწყისში გაგზავნილი იქნა ექსპედიცია არაგვისა და თერგის ხეობებში. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიან ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი პ. ზაქარაია (ხელმძღვანელი), არქიტექტორი ბოლქვაძე და ი. გოგუაძე.

არაგვისა და თერგის ხეობებში გადიოდა მთავარი გზა, რომლითაც საქართველო უკავშირდებოდა ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებს. ამიტომაც, ქართველი მეფეები ცდილობდნენ გაემაგრებინათ „არაგვის კარი“ ციხე-კოშკებს აგებით. მტრის ერთ-ერთ ძირითად საზარუნავაც ამ სიმაგრეთა ხელში ჩაგდება, ან მისი დანგრევა წარმოადგენდა.

ამ ხეობებში, ძველი პერიოდის ნაგებობებს ჩვენამდე თითქმის არ მოუღწევიათ, სამაგიეროდ ბევრია ფეოდალური ხანის ძეგლები. ამათგან აღსანიშნავია მრავალჯერ ომგადახდილი და სახეცვლილი არშის ციხე, დარიალის კლდეკარის ჩამკეტი ციხე (ე. წ. „თამარის ციხე“), ერწოს ციხე, [illegible] გზას იქ, [illegible] ლეთის არაგვს, და სხვ.

ამ მხარეში გვიანდელი ფეოდალური ეპოქის ძეგლები, როგორც მოსალოდნელი იყო, გაცილებით მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი. ამათგან უნდა აღინიშნოს არაგვის ერისთავების ციხე-სამაგრე რამდენიმე ღირსშესანიშნავი ეკლესიით — ანანურის დიდი ანსამბლი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა პერიოდის ნაგებობებს.

არანაკლებ საინტერესოა მწვადიჯვრის კომპლექსი, რომლის ციხე-გალავანი აგებულია 1746 წელს მუხრანისა და ქსნის ციხეების ამაგე კონსტანტინე სახლთუხუცესის მიერ.

ცალკეული კოშკებიდან უნდა აღინიშნოს ბეშვეთი გემოვნების მქონე ოსტატების მიერ შექმნილი ფაუმეთისა და სიონის კოშკები. ამ მხარეში გავრცელებულია აგრეთვე ეგრეთწოდებული „ზურგიანი კოშკები“, როგორიცაა ხურთისის, ზემო მლეთის, ფერგეტის, ფინვალისა და სხვა.

საცხოვრებელ ნაგებობებში აღსანიშნავია კოდისწყაროს უნიკალური სასახლის ნანგრევები და სოფელ ფხელშეს რამდენიმე საოთახიანი საომრად გამაგრებული საცხოვრებელი სახლი.

ექსპედიციის მიერ ამ ხეობებში შესწავლილი ძეგლები გვიჩვენებენ სამშენებლო ხელოვნების მაღალ დონესა და დიდ კულტურას.

თბილისის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდის დიდი წარმატება

11 მოკავშირე რესპუბლიკის 14 საუკეთესო ფეხბურთელთა გუნდი მონაწილეობს მიმდინარე წლის ოსტატთა მეორე ჯგუფის ცენტრალური ზონის პირველობის გათამაშებაში. საქართველოს ს ს რესპუბლიკიდან არიან: თბილისის „სპარტაკის“, ქუთაისის „დინამოსა“ და თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდები.

პირველი კალენდარული მატჩებიდანვე გათამაშებაში დაწინაურდა თბილისის „სპარტაკი“ ახალგაზრდა, ენერგიული და ტექნიკურად ძლიერი ფეხბურთელთა კოლექტივი (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ეორდანია). თბილისელებმა პირველი 8 გამარჯვება მოიპოვეს შუა ახაში. მათ დაამარცხეს ტაშკენტის, ალმა-ატის, აშხაბადისა და ფრუნზეს გუნდები და გათამაშების პირველ ეტაპზე მოაგროვეს 16 ქულა (16 შესაძლებლიდან). მორიგი მატჩები თბილისელებმა ჩაატარეს სომხეთის, მოლდავეთისა და ლატვის ფეხბურთელებთან და ჯვარა გამარჯვებული გამოვიდნენ ყველა მატჩში. მოგროვილ ქულათა რაოდენობა 28-მდე ავიდა. უკანასკნელი ოთხი გამარჯვება თბილისელებმა მოიპოვეს თავიანთ მოედანზე ტალინის „კალევისა“ და მინსკის ოფიცერთა სახლის გუნდებთან შეხვედრებში (2:1, 4:1, 3:0, 3:1).

ამრიგად, ბრწყინვალედ ჩაატარა რა მთელი რიგი საპასუხისმგებლო შეხვედრები ჩვენი ქვეყნის ძლიერ გუნდებთან, თბილისის „სპარტაკის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა 18 მატჩიდან 18-ვე მოიგო და 36 შესაძლებლიდან მოაგროვა მაქსიმუმი — 36 ქულა! ასეთი შედეგი ჩვენი ქვეყნის არც ერთ გუნდს არა ჰქონია საკავშირო გათამაშებაში უკანასკნელი 12 წლის მანძილზე. მეორე ადგილზე მიდის ვილნიუსის „სპარტაკი“, რომელიც 5 ქულით ჩამორჩება ლიდერს. დიდ წარმატებას მიაღწია აგრეთვე ქუთაისის „დინამოს“ გუნდმაც, რომელიც პირველად მონაწილეობს საკავშირო გათამაშებაში. ქუთაისელები ჯერჯერობით მეექვსე ადგილზე გამოდიან.

თბილისის „სპარტაკის“ გუნდის უდავო თვალსაჩინო წარმატებაში დიდი ღვაწლი მიეძღვის გამოცდილ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ა. ეორდანიას, რომელიც გასულ წელს ჩაუდგა სათავეში თბილისის „სპარტაკის“ გუნდს.

თბილისის „სპარტაკის“ გუნდის თავდამსხმელებმა 18 მატჩის განმავლობაში 43 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. აქედან 18 ბურთი (თითქმის 50 პროცენტი) გაიტანა გუნდის კაპიტანმა და ტექნიკურად ძლიერმა თავდასხმის წამყვანმა მოთამაშემ, მარჯვენა გარემარბმა ავთანდილ ჰაიტაძემ. თავდასხმელებიდან გამოირჩევიან აგრეთვე ი. ლომაია (ცენტრთავდამსხმელი) და ი. ბურუშულაძე (მარჯვენა შუამარბი). გუნდში განსაკუთრებით ძლიერია ნახევარდაცვისა და დაცვის ხაზი, სადაც დაუღალავი და აზრიანი თამაშით ყურადღებას იპყრობს მარცხენა ნახევარმცველი მ. გამყრელიძე. ეგი თავისუფლად ასწრებს თავის ძირითად ადგილზე თამაშს და ამასთან საუკეთესოდ ეხმარება თავდასხმასაც. დაცვის ხაზში თავისი უნარიანი თამაშით გამოირჩევა მარცხენა მცველი რ. ოსაძე. კარგად თამაშობენ მცველები ზ. ქვარიანი და ი. კაფტანოვი. გუნდს ჰყავს ძლიერი მეკარეები — ოსელია და განსაკუთრებით პირაევი. მათ მხოლოდ 8 ბურთი გაუშვეს თავიანთ კარში 18 მატჩის განმავლობაში.

პირველობის გათამაშების უკანასკნელ ეტაპზე თბილისის „სპარტაკს“ ჩასატარებელი დარჩა კიდევ 8 შეხვედრა 4 ძლიერ მოწინააღმდეგესთან. 31 ივლისს და 2 აგვისტოს თბილისის „სპარტაკი“ თავის მოედანზე შეხვდება ერთ-ერთ უძლიერეს მეტოქეს — ვილნიუსის „სპარტაკის“ გუნდს, რაც არსებითად გადაწყვეტს პირველობის ბედს გათამაშებაში.

ა. ბოგოლაშვილი.

ახალი წიგნები

„საბჭოტგამმა“ გამოსცა შემდეგი წიგნები: ნიკოლოზ ჩიჩავა—„ბოგიას წიგნი“. წიგნში შეტანილია 23 ლექსი, დასურათებულია მხატვარ მ. დაუშვილის მიერ, შეიცავს 55 გვერდს და ღირს 4 მანეთი.

ლიდია მეგრელიძე—„ბუბა და ლელა“, წიგნი დასურათებულია მხატვარ ბ. კაკაბაძის მიერ, შეიცავს 35 გვერდს და ღირს 2 მანეთი.

გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოსცა ილია ზურაბიშვილის წიგნი—„ხალხის შემოქმედი გენია: ლეკური, კახური მრავალფამიერი, ფარფალი“. რედაქტორი გერონტი ქიქოძე. წიგნი შეიცავს 78 გვერდს და ღირს 3 მანეთი და 50 კაპ.

ლექცია

26 ივლისს, საღამოს 8 ს. 30 წ. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში რუსულ ენაზე შედგება ამხ. კ. სულეიმანის ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

ბილეთების შეძენა შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ქ-ნი ს. დ. ბლაგოევა

23 ივლისს მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ქ-ნი ს. დ. ბლაგოევა.

ვნუკოოოს აეროდრომზე ქ-ნ ს. დ. ბლაგოევას შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი პ. ა. ბუშუევი, ბულგარეთის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა საქმეთა დროებითი რწმუნებულის ბ-ნ პ. ა. ცარვულანოვის მეთაურობით, აგრეთვე მოსკოვში აკრედიტებული მთელ რიგ საელჩოთა და მისიათა მეთაურები. (საკუთრ.).

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილება [illegible] ლეთის არაგვს, და სხვ.

ამ მხარეში გვიანდელი ფეოდალური ეპოქის ძეგლები, როგორც მოსალოდნელი იყო, გაცილებით მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი. ამათგან უნდა აღინიშნოს არაგვის ერისთავების ციხე-სამაგრე რამდენიმე ღირსშესანიშნავი ეკლესიით — ანანურის დიდი ანსამბლი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა პერიოდის ნაგებობებს.

არანაკლებ საინტერესოა მწვადიჯვრის კომპლექსი, რომლის ციხე-გალავანი აგებულია 1746 წელს მუხრანისა და ქსნის ციხეების ამაგე კონსტანტინე სახლთუხუცესის მიერ.

ცალკეული კოშკებიდან უნდა აღინიშნოს ბეშვეთი გემოვნების მქონე ოსტატების მიერ შექმნილი ფაუმეთისა და სიონის კოშკები. ამ მხარეში გავრცელებულია აგრეთვე ეგრეთწოდებული „ზურგიანი კოშკები“, როგორიცაა ხურთისის, ზემო მლეთის, ფერგეტის, ფინვალისა და სხვა.

საცხოვრებელ ნაგებობებში აღსანიშნავია კოდისწყაროს უნიკალური სასახლის ნანგრევები და სოფელ ფხელშეს რამდენიმე საოთახიანი საომრად გამაგრებული საცხოვრებელი სახლი.

ექსპედიციის მიერ ამ ხეობებში შესწავლილი ძეგლები გვიჩვენებენ სამშენებლო ხელოვნების მაღალ დონესა და დიდ კულტურას.

სოხუმის გერიას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1949-50 წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე: 1) ფიზიკა-მათემატიკის (ქართული სექტორი), 2) ბუნებისმეტყველების (ქართული სექტორი), 3) გეოგრაფიის (ქართული სექტორი), 4) ისტორიის (ქართული სექტორი), 5) ენისა და ლიტერატურის (სპეციალობა: 1. ქართული ენისა და ლიტერატურის, 2. რუსული ენისა და ლიტერატურის), 6) უცხო ენების (ინგლისური და გერმანული განყოფილებები, ქართული სექტორი), 7) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (ქართული სექტორი).

ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებიც სამუალო სკოლის დამთავრებისას დაჯილდოებული არიან ოქროს ან ვერცხლის მედლით და ტექნიკუმდამთავრებულნი, რომელნიც შედიან უმაღლეს სასწავლებელში თავისი სპეციალობის მიხედვით. სხვები აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი), ფიზიკაში, ქიმიაში.

2. ბუნებისმეტყველების და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტებზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ფიზიკაში, ქიმიაში.

3. ისტორიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტებზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიაში, გეოგრაფიაში.

4. ენისა და ლიტერატურის და უცხო ენების ფაკულტეტებზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიაში, გეოგრაფიაში, ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადება მიიღება 31 ივლისამდე. შემომსვლელმა უნდა შემოიტანოს განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (სოხუმი, სტალინის ქ. № 21) ფაკულტეტის, სპეციალობისა და სექტორის აღნიშვნით და წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი (ზომა 3×4 სმ, გადაღებული უქუდოდ), ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი